ეროვნული ბიბლიოთეკა

64

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981
წელი
კვირა
8
ნოემბერი
№ 257
(18199)
ფასი 2 კაპ.

გუშინ საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავი.

## ჰგავს საქართველო ასაფრენ არწივს

მოდის, მოღელავს დროშების ტევრი,
სალამი შენდა, დილავ, ნათელო!
ძირს ჩამოსულა ლაჟვარდი ვრცელი
და მზის კვარცხლბეკზე დგას საქართველო!
გული გულს ისე სიმღერას აწვდის,
რომ უთქმელადაც მიიწევს მაღლა.
ჰგავს საქართველო ასაფრენ არწივს,
თვალით რომ ზვერავს სივრცეებს ახალს.
შიგნით თუ გარეთ, აქეთ თუ იქით,
სიკეთედ დნება ნატვრაში ნატვრა
და იმდენია ხვალეზე ფიქრი,
რა უნდა გვსურდეს მშვიდობის გარდა.
სამშობლოვ, თითქოს მოდის მაისი,
ფერთა ზღვას ისე არ უჩანს ბოლო,
შენი საუფლო და საბრძანისი
დაუშრეტელი წინსვლაა მხოლოდ.
ეს წამიც ისე კვირტივით ფეთქავს
და ინასკვება ისე იმედით,
მწამს, დაადგება დიდების ძეგლად
დღევანდელობას დღე ხვალინდელი.
მოდის, მოღელავს დროშების ტევრი,
სალამი შენდა, დილავ, ნათელო!
ძირს ჩამოსულა ლაჟვარდი ვრცელი
და მზის კვარცხლბეკზე დგას საქართველო.

ვახტანგ გორგანელი.

მოსკოვი. წითელი მოედანი, 7 ნოემბერი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

# ლენინის ანდერძისადმი ერთგულება

## სამხედრო პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

გადაიშალა კიდევ ერთი მკა ო, დაუვიწყარი ფურცელი სა ეთის ისტორიაში. ჩვენს მიწა ალზე კვლავ მოვიდა საყვარელი ღესასწაული. იგი ძვირფასია არა ტო იმიტომ, რომ აღვნიშნავთ ციალისტური სამშობლოს და დების დღეს. ამ დღეს განსაკუ რებით მწვავედ ვგრძნობთ პა სუხისმგებლობას ოქტომბრის სა ისათვის, ქვეყნის, მთელი კაცო ობის მომავლისათვის.

სკპ XXVI ყრილობამ კიდევ ერო განამტკიცა ჩვენი რწმე ლენინის პარტიის პოლიტიკის სწორისადმი, 64 წლის წინათ რჩეული გზის სისწორისადმი. განსაზღვრა დიდი ოქტომბრის სამშობლოს შრომითი დღეების ჟიმი, ახლანდელი დღესასწაუ ის ატმოსფერო. ამ დღეს — ნოემბერს, საბჭოთა ადამიანე , მთელი პროგრესული კაცობ ობის თვალი მიპყრობილია მო ვისადმი, წითელი მოედნისა .

წითელი მოედანი კი დღეს გან უთრებით ლამაზია: დღესასწა მა გააერთიანა ძველი სილამა და მარად ახალგაზრდა წითე ფერი. მოსკოვის სახელმწიფო ვერმაღის ფასადზე ციფრებია, მლებიც ითვლიან დიდი ოქ მბრის დროშით განვლილ გზას: 7-1981. ცენტრშია სოციალის ური რევოლუციის ბელადის ადიმერ ილიას ძე ლენინის ტრეტი. ისტორიის მუზეუმის ობაზე გამოკრული პანო აღ ბს საბჭოთა მშრომელს, — უნიზმის მშენებელს. მშენებ ბათა ფონზე გამოხატულია ოშაალმართული მუშის ფიგუ და მტკიცე დაპირება: „სკკპ VI ყრილობის გადაწყვეტილე — შევასრულებთ!“. მოედ თავზე საბჭოეთის წითელი ოშა ფრიალებს. მას გვირგვი შემორტყმია თხუთმეტი დრო რომლებიც სიმბოლურად გა ატავენ მოკავშირე რესპუბლი ის ძმურ მეგობრობას. საზეიმო უმე სუფევს ნოემბრის ამ ლას წითელ მოედანზე სადღესასწაულო მსვლელობის მოლოდინში.

სტუმართა ტრიბუნებზე არიან ლენინური პარტიისა და ოქტომბრის რევოლუციის ვეტერანები, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის გმირები, შრომის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტები. აქვე არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.** აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართუფროსები.

კრემლის კურანტების რეკვა ყველას აუწყებს: 10 საათია. მაცხოვრის კოშკის კარიდან ღია მანქანით გამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **დ. თ. უსტინოვი.** ისტორიის მუზეუმიდან მის შესახვედრად მოემართება პარადის სარდლის მანქანა. მავზოლეუმის წინ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი **პ. გ. ლუშევი** პატაკს აბარებს. პატაკის მიღების შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა ჩამოუარა ჯარებს, პარადის მონაწილეებს მიულოცა დღესასწაული. პასუხად მოედანზე ქუხს „ვაშა!“.

ჩამოვლის შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და წარმოთქვამს სიტყვას.

### მხანაგ დ. თ. უსტინოვის სიტყვა

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღე ლი ძალების მეომრებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელ !

პატივცემულო საზღვარგარე ლო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტ ი პარტიის ცენტრალური კომი ის, სსრ კავშირის უმაღლესი ჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელითა და დავა ბით მოგესალმებით და გილო საყოველთაო-სახალხო დღე ასწაულს — დიდი ოქტომბრის ციალისტური რევოლუციის -ე წლისთავს.

ღალი პატრიოტული სიამა გრძნობით ხვდებიან საბჭოთა მიანები დიდი ოქტომბრის ისთავს. ჩვენთან ერთად მას მით აღნიშნავენ მოძმე სოცი სტური ქვეყნების მშრომელე მთელი პროგრესული კაცობ ობა.

ხლანდელ დღესასწაულს საბ ოთა ხალხი აღნიშნავს უდიდე შემოქმედებითი აღმავლობის არებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია თავდადებით შრომობს პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის. მტკიცედ მიდის წინ სოციალისტური ინდუსტრია. მინდვრების მშრომელებმა ამინდის რთულ პირობებში არ დაიშურეს ძალღონე, რათა მოეყვანათ და უდანაკარგოდ აეღოთ მოსავალი. ახალი წარმატებანი მოიპოვა ჩვენმა მეცნიერებამ. ხორციელდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების პროგრამა.

ახალი ცხოვრების მშენებლობის გზაზე საბჭოთა კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად არის. სულ უფრო ღრმავდება ჩვენი ყოველმხრივი თანამშრომლობა სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

სოციალისტური ქვეყნები იძულებული არიან თავიანთი აღმშენებლობითი ამოცანები გადაწყვიტონ რთულ საერთაშორისო ვითარებაში. იმპერიალისტური წრეები ცდილობენ ძირი გამოუთხარონ მათ ერთიანობასა და შეკავშირებას, საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს. აღვივებენ რა ცილისმწამებლურ კამპანიას „საბჭოთა კავშირის მხრივ ომის საფრთხის“ შესახებ მითის გამო, ისინი კიდევ უფრო ზრდიან გამალებულ შეიარაღებას, რათა სამხედრო უპირატესობას მიაღწიონ. ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებების განლაგების ნატოს ავბედითი გეგმების გამალებული განხორციელება, ნეიტრონული იარაღის წარმოების დაჩქარება, ახლო და შუა აღმოსავლეთში, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კარიბის აუზში ვითარების გამწვავების ცდები სულ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას.

იმპერიალიზმის აგრესიულ ხრიკებს, რომლებსაც სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ჩინეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკა, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები უპირისპირებენ მშვიდობის განმტკიცების, გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და შეწყვეტის, მოლაპარაკების მაგიდასთან კრიზისული სიტუაციების სამართლიანი მოწესრიგების მკაფიო თანამიმდევრულ კურსს.

სწორედ ასეთი პოლიტიკაა განსაზღვრული სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამით, ამ პოლიტიკას იზიარებენ და მხარს უჭერენ მოძმე სოციალისტური ქვეყნები. მას გაგებით ეკიდებიან სხვადასხვა პოლიტიკური წრეები, ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საქმიანობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც ითვალისწინებენ იმპერიალიზმისა და მისი დამქაშების აგრესიულობის მკვეთრ ზრდას, შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ ჩვენი სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებას, მაგრამ ჩვენ არც ვცდილვართ და არც ვცდილობთ მოვიპოვოთ სამხედრო უპირატესობა სხვა მხარესთან შედარებით. ეს არ არის ჩვენი პოლიტიკა. მაგრამ, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „ჩვენ არც იმის უფლებას მივცემთ ვინმეს, რომ შექმნას ასეთი უპირატესობა ჩვენთან შედარებით. ამგვარი ცდები, აგრეთვე ჩვენთან ძალის პოზიციიდან ლაპარაკი აბსოლუტურად უპერსპექტივოა! საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ყველაფერი აქვთ, რათა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ აგრესორს.

პარტიისა და ხალხის მუდმივ ზრუნვას საბჭოთა მეომრები უპასუხებენ ახალი წარმატებებით მხედრულ შრომაში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე ანგარიში იმის შესახებ, რომ პირადი შემადგენლობა მზად არის შეასრულოს სამშობლოს ყოველი დავალება სოციალისტური მონაპოვრების დაცვისათვის, იყო „დასავლეთი-81“ წვრთნა. ამ წვრთნამ ცხადყო, თუ რაოდენ მტკიცეა მაღალი ტექნიკური აღჭურვილობის, მხედრული ოსტატობისა და უდრეკი მორალური სულის შენადნობი, სსრ კავშირის მამაცი შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალს რომ შეადგენენ.

სამშობლოს, კომუნისტური პარტიისა და მისი ხალხის უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა მეომრები მტკიცედ ეუფლებიან თანამედროვე იარაღს, იმაღლებენ სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნას. ისინი ღირსეულად ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას, ფხიზლად დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვრების სადარაჯოზე.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს!

ვაშა!

* * *

ქუხს სამგზისი „ვაშა!“. გრიალებს საარტილერიო სალუტი. გაერთიანებული ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

ისტორიის მუზეუმის მხრიდან მოისმის დაფდაფების ხმა, და წითელ მოედანზე შემოდის მედოლეთა და ფანფარისტთა — მოსკოვის სამხედრო-მუსიკალური სასწავლებლის აღსაზრდელთა მწყობრი. ტრადიციულად ისინი ხსნიან ჯარების პარადს.

მტკიცე ნაბიჯით, მწყობრი რიგებით მავზოლეუმს ჩაუარეს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის, ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელებმა.

მარშზეა საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის სახელობის ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემია. მარადიული დიდების შარავანდედით შეიმოსნენ მისი კურსდამთავრებულნი, როცა 40 წლის წინათ მშობლიურ დედაქალაქს იცავდნენ. მოსკოვთან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების ღირსშესანიშნავ თარიღს მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს. იმათ შორის, ვინც მტერს ებრძოდა მის კედლებთან 1941 წელს, იყო ლეიტენანტი პ. დ. გუძიც. „კვ“ ტანკების ოცეულის მეთაურმა მოსპო ცხრა ჰიტლერული მანქანა, რისთვისაც სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიენიჭა. დღეს აკადემიის უფროსის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი პ. დ. გუძი წითელ მოედანზე სადღესასწაულო მწყობრში მოაბიჯებს.

ჩაიარეს ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის ქიმიური დაცვის სამხედრო აკადემიის, ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის, პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის საპარადო ჯგუფეულებმა.

მორიგი კოლონის თავზე ფრიალებს თეთრ-ცისფერი წითელვარსკვლავიანი დროშა. მოდიან ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის კურსანტები და ოფიცრები. მათ, ნევის ნაპირებიდან წარმოგზავნილებს, წელს წილად ხვდათ პატივი პარადზე წარმოადგინონ სსრ კავშირის სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

მოედანზე მოდიან ნორჩი სამხედრო ცვლის კოლონები — მოსკოველი და კალინინელი სუვოროველები, ლენინგრადელი ნახიმოველები. მათ მოჰყვებიან მოსკოვის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის უმაღლესი საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტები.

ერთხანს სიწყნარე ისადგურებს და კვლავ ძრავების მძლავრი გუგუნით მოედანზე შემოდიან ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიული მოტომსროლელი დივიზიის საბრძოლო მანქანები და ჯავშანტრანსპორტიორები. ჩვენი გვარდია, რომელმაც ახლახან აღნიშნა თავისი მე-40 წლისთავი, საბჭოეთის შეიარაღებული ძალების საუკეთესო წარმომადგენელია. გვარდიელები განასახიერებენ პარტიისადმი, ხალხისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებას, რომელიც შერწყმულია იარაღის უნაკლო ფლობასთან და ბრძოლაში მის უნარიან გამოყენებასთან. ასეთნი იყვნენ ფრონტელი გვარდიელები, ასეთები არიან ახლანდელი გვარდიელი მეომრებიც. ისინი ღირსეულად ატარებენ დიდი სამამულო ომის გმირებისაგან, მამა-პაპათაგან მიღებულ ესტაფეტას.

ტამანელებს მოჰყვებიან სამხედრო-სადესანტო ჯარები, მათ ცვლიან კანტემიროვკის გვარდიული სატანკო დივიზიის მანქანები. ომის წლებში კანტემიროვკელებმა განვლეს გმირული საბრძოლო გზა ვოლგიდან ბერლინამდე და პრაღამდე. შთამომავლები არასოდეს არ დაივიწყებენ მათ გმირობას ფაშიზმისაგან პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების დროს.

წითელ მოედანზე შემოდიან საარტილერიო და სარაკეტო ქვეგანაყოფები. საპარადო ჯგუფეულებში ვხედავთ თვითმავალ საარტილერიო დანადგარებს, რეაქტიულ არტილერიას, რომლის ისტორია დაიწყო განთქმული „კატიუშებიდან“. საზეიმო მარშზეა საჰაერო დაცვის საზენიტო-სარაკეტო ქვეგანაყოფები, სხვადასხვა დანიშნულების რაკეტები. ამ სახეობის იარაღი არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების საფუძველია.

საბრძოლო ტექნიკის კოლონას ამთავრებენ ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური რაკეტების ქვეგანაყოფები.

მავზოლეუმის წინ ჩაიარა გაერთიანებულმა სამხედრო ორკესტრმა. 109-ე სამხედრო პარადი

(დასასრული მე-2 გვ.)

# დარბაზობა კრემლის ყრილობათა სასახლეში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 7 ნოემბერს დარბაზობა გამართა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.**

დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მხედართმთავრები, წარჩინებული მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტი მფრინავები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დარბაზობას დაესწრნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების თვალსაჩინო მოღვაწენი.

სტუმრებს შორის იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საზღვარგარეთელი სტუმრები, რომლებიც მოსკოვში ზეიმზე ჩამოვიდნენ, სამღვდელოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

დარბაზობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

პატივცემულო სტუმრებო!

დიდი საბჭოთა ხალხი კვლავ აღნიშნავს ოქტომბრის რევოლუციის წლისთავს. ისტორიულ წითელ მოედანზე კვლავ მწყობრად ჩაიარეს სამშობლოს დასაცავად შემართულმა ჯარებმა თავიანთი მძლავრი ტექნიკითურთ, კვლავ გადაუარა მოედანს მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციის ტალღამ.

დემონსტრაციის მონაწილეთა ხელში ჩვენ ვხედავდით შრომითი წარმატებების მაჩვენებლებს, სამეურნეო გეგმებისა და ვალდებულებების ციფრებს. ვხედავდით მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან, ყველა ქვეყნის მშრომელებთან მეგობრობისა და სოლიდარობის ლოზუნგებს, სამშვიდობო ბრძოლის მოწოდებებს.

ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის დედამოედანზე თვალწინ წარმოგვიდგა როგორც ნაირფერი თვალწარმტაცი პანორამა, ჩვენი ხალხის ცხოვრებას, საქმეებსა და მისწრაფებებს რომ გამოხატავს.

საბჭოთა ადამიანები დიდ საქმეს აკეთებენ. ისინი ხორცს ასხამენ კომუნისტური მშენებლობის ახალი ეტაპის გეგმებს, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ შეიმუშავა.

ამ გზაზე წამოჭრილი რთული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს ხალხის შემოქმედებითი ძალების მაქსიმალურ კონცენტრაციას, მოითხოვენ ორგანიზებას, დისციპლინას, ინიციატივას და შრომის მაღალ ხარისხს.

ამას მოგვიწოდებს პარტია და მისი კურსის საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა იმის საწინდარია, რომ დასახულ მიზნებს წარმატებით მივაღწევთ.

ჩვენ რთულ საერთაშორისო ვითარებაში გვიხდება ცხოვრება და მუშაობა. იმპერიალიზმის აგრესიული წრეების საშიში ზრახვები და ავანტიურისტული პოლიტიკა საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

ამ პირობებში საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი სოციალისტური მოკავშირეების ძლიერება, ჩვენი მტკიცე, თანამიმდევრული პოლიტიკა მშვიდობისა და მთელი სალად მოაზროვნე, მშვიდობისმოყვარე ძალებთან თანამშრომლობის პოლიტიკა სულ უფრო მკაფიოდ გვევლინება საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიად.

ამ საზეიმო დღეს ჩვენ ვაცხადებთ: საბჭოთა კავშირი ყველაფერს იღონებს, რათა გაამართლოს ხალხთა იმედები, მტკიცედ და განუხრელად დაიცავს მშვიდობის, სამართლიანობისა და თავისუფლების საქმეს.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, წარმოვთქვა სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

— მუდამ ყოფილიყოს მტკიცე, ურყევი მშვიდობა ჩვენს პლანეტაზე!

— გამარჯვებას ვუსურვებ დღევანდელი პარადისა და დემონსტრაციის მონაწილეებს, ყველას, ვინც ამ დარბაზში შეყრილა!

●

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლას შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ საზეიმო, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

ხელოვნების ოსტატებმა გამართეს სადღესასწაულო კონცერტი. (საკდესი).

# შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა სახელგანთქმულ ქართველ მოჭადრაკე ქალებს — ორგზის მსოფლიო ჩემპიონს დიდოსტატ მაია ჩიბურდანიძეს, მსოფლიო ჩემპიონის წოდების ამასწინანდელ პრეტენდენტს დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას, სსრ კავშირის 1981 წლის ჩემპიონებს — ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს დიდოსტატ ნონა გაფრინდაშვილსა და დიდოსტატ ნანა იოსელიანს, ამავე ჩემპიონატის პრიზიორს, სსრ კავშირის სპორტის ოსტატს თამარ ხუგაშვილს, რომლებმაც წელს თვალსაჩინო სპორტული წარმატებანი მოიპოვეს.

გულთბილი, გულითადი საუბრის დროს ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მიულოცა სახელგანთქმულ ქართველ მოჭადრაკეებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავი და წლევანდელი დიდი სპორტული მიღწევები.

— მთელი რესპუბლიკა ამაყობს თქვენით, — აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, — რადგან დღეს ქართველ მოჭადრაკე ქალთა სკოლა საყოველთაოდ აღიარებულია მთელ მსოფლიოში. თვით ცნებამ „ქართველ მოჭადრაკე ქალთა ფენომენმა“ მოქალაქეობრიობა მოიპოვა და ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

თქვენს თვალსაჩინო მიღწევებს, თქვა შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ისე შეეჩვია ჩვენი ხალხი, რომ უკან დასახევი გზა აღარა გაქვთ. ახალი მწვერვალების დასაპყრობად აუცილებელია შევინარჩუნოთ ქართველ მოჭადრაკე ქალთა თაობების მემკვიდრეობითობა.

საჭიროა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციამ მეტი ყურადღება დაუთმონ ბავშვებთან, ახალგაზრდა მოჭადრაკეებთან მუშაობის საკითხს, მწვრთნელთა კადრების მოზიდვას. ჩემი აზრით, ჩვენს რესპუბლიკაში უნდა აღდგეს მოჭადრაკე ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირების ჩატარების პრაქტიკა, ამასთან არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც — სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, ბორჯომში, წყალტუბოში, სამტრედიაში, თელავში და სხვ.

საუბრის დასასრულს ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ერთხელ კიდევ უსურვა ქართველ მოჭადრაკეებს მოეპოვებინოთ ახალი წარმატებანი თავიანთ სპორტულ ბიოგრაფიაში, და დასძინა, დროა ქართველმა მოჭადრაკე ვაჟებმაც მათ მაგალითს მიბაძონ.

ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა დიდი მადლიერების გრძნობით აღნიშნეს ის განსაკუთრებული ზრუნვა და ყურადღება, რომელსაც იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა ფიზიკური კულტურის მასობრიობის, ყველა სახეობის სპორტის, მათ შორის ჭადრაკის განვითარებისადმი, პირობა დადეს, რომ დაიცავენ საბჭოთა მოჭადრაკეების ქართული სკოლის ღირსებას.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ჯ. კ. შარტავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ა. პერტენავამ და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ გ. ვ. ბედინეიშვილმა. (საქინფორმი).

64

# ლენინის ანდერძისადმი ერთგულება

(დასასრული)

წითელ მოედანზე დამთავრდა. მან ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა მეომრების ურყევი ერთგულება ლენინის ანდერძისადმი, საბჭოთა ხალხის რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციებისადმი, პარტიის საქმისადმი, დიდი ოქტომბრის საქმისადმი.

ყოველი შრომითი წარმატება, ყოველი ხუთწლედი გვაახლოებს კომუნიზმთან. ამ თვალსაზრისით აფასებს პარტია მომავალ ხუთწლედსაც, აღინიშნა ყრილობაზე. უნდა გადავწყვიტოთ დიდი ამოცანები. მხოლოდ პარტიასთან მჭიდრო ერთიანობით შეძლებს ხალხი წარმატებით გაართვას თავი მათ.

ტრანსპარანტების ფონზე, რომლებიც ადიდებენ პარტიისა და ხალხის ერთიანობას, მოჩანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ნაცადი ინტერნაციონალისტის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის ბრძენი და უდრეკი მებრძოლის ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი.

ოცდათხუთმეტ წელზე მეტია ჩვენს სამშობლოს თავს დანათის მშვიდობიანი ზეცა. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე, იცის როგორ დააფასოს დიდი ბედნიერება, როცა არ ისმის სროლის ხმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტი პოლიტბიუროს მეთაურობით ყოველ ღონეს ხმარობს დაძაბულობის შენელების სულისკვეთების შენარჩუნებისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის ახალი ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

სკკპ XXVI ყრილობამ მძლავრი იმპულსი მისცა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლას, — აღინიშნა ოქტომბრის 64-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. ყრილობის იდეები, მისი გადაწყვეტილებანი ხელს უწყობს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას.

საბჭოთა კავშირი მუდამ ერთგულობს მშვიდობისმოყვარულ ლენინურ კურსს. გამარჯვებული პროლეტარიატის პირველი დოკუმენტი იყო დეკრეტი ზავის შესახებ. და დღეს, ოქტომბრის წლისთავის დღეს, საბჭოთა ხალხი მშვიდობის საქმის ერთგულების ფიცს დებს.

წითელი მოედნის ტრიბუნები ტაშით შეხვდნენ პალმის ტოტით შემკობილი დედამიწის სფეროს მაკეტს, რომელზეც წარწერილია სიტყვები „მშვიდობა — მსოფლიოს“. მეორე მანქანაზე გამოსახულია ნეიტრონული ბომბი, რომელიც გადახაზულია, მტკიცე მოთხოვნით: „არ გვინდა!“.

მშვიდობის პროგრამის განხორციელებას ემსახურება სოციალიზმის ქვეყნების, საერთაშორისო პროლეტარიატისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტკიცე კავშირი. დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება. „ყირიმის შეხვედრები მშვიდობის დაცვის საქმისადმი მოძმე პარტიებისა და ქვეყნების ურყევი ერთგულების კიდევ ერთი დამაჯერებელი დადასტურება გახდა“, — წარწერილია ტრანსპარანტზე.

წითელ მოედანზე შემოაქვთ მშრომელი მოსკოვის პატაკები. დედაქალაქმა წითელ მოედანზე მათი გამოტანა დაავალა თავის საუკეთესო შვილებს. მანქანებზე დგანან სოციალისტური შრომის გმირები, პარტიული ყრილობების დელეგატები, უმაღლესი საბჭოების დეპუტატები.

ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ქვეყნის მთავარ მოედანზე მოგვაქვს ჩვენი ყველაზე დიდი სიხარული. აქ ვაჩვენებთ უდიდეს მიღწევებს.

მოედანზე საზეიმოდ გაისმის მელოდია სიმღერისა „პარტია ჩვენი მესაჭეა“.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე თაიგულებით აირბინეს პიონერებმა. მათ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ყვავილები და წითელი ბაფთები გადასცეს.

გაისმის შეძახილები მშობლიური კომუნისტური პარტიის, საყვარელი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის პატივსაცემად. მძლავრი „ვაშა“ ქუხს მთელ მოედანზე.

იწყება გმირი ქალაქის, მშრომელი ქალაქის, აღმშენებელი ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია. სადღესასწაულო მსვლელობას ერთ-ერთი პირველნი ხსნიან ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის სოციალისტური შეჯიბრების ლიდერები. სადღესასწაულოდ მორთულ დემონსტრანტთა კოლონებს მოაქვთ ავტოქარხნელთა პატაკი: „გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 605 ავტომობილი და 500 საოჯახო მაცივარი. რვა ათასმა ლიხაჩოველმა შეასრულა 1981 წლის დავალება ვადამდე — 7 ნოემბრისათვის“.

იმათ შორის, ვინც შრომითს მეტოქეობას თავკაცობს ქარხანაში, არის სამსხმელო საამქროს მეკოპე, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ი. ტ. ბარულინა. პარტიული ფორუმის მოსკოველ დელეგატებთან ერთად მან მოუწოდა თანამოსაქმე ამხანაგებს წლის დამდეგს, რომ ვადამდე, დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის, შეესრულებინათ პირადი წლიური დავალება, კომუნისტთა პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურნენ დედაქალაქის მშრომელები.

თავისი დამრიგებლისა და პარტჯგუფორგის გვერდით კოლონაში მოდის ახალგაზრდა მეკოპე ალექსანდრე მაისეტი. დღესასწაულის წინ მის ცხოვრებაში მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა: ი. ტ. ბარულინას რეკომენდაციით მუშა სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს. სულ კი ყრილობის წელს ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ხამასზე მეტი მოწინავე მუშაკი მიიღეს ლენინური პარტიის რიგებში.

— გაუმარჯოს საბჭოეთის გმირ მუშათა კლასს! — გაისმის მოედანზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება.

სადღესასწაულო კოლონებში არიან მოსკოვის „კრასნი პროლეტარის“ სტამბის მოწინავენი. ამ საწარმოს რევოლუციური მატიანე პირველი ბოლშევიკური პროკლამაციები, კრასნაია პრესნიას ბარიკადებზე გამართული ბრძოლები, 1917 წელს იუნკერებთან ბრძოლები და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის დეკრეტების გამოცემა. დიდი სამამულო ომის წლებში ამ სტამბის ბევრი წარმომადგენელი იცავდა დედაქალაქს. გამარჯვებისათვის მუშაობდა სტამბის პროდუქციაც. აქ გამოშვებული პლაკატები — „დავიცვათ მოსკოვი“, და „დედა სამშობლო გვიხმობს!“ — ფაშისტ დამპყრობლებთან საბრძოლველად რაზმავდნენ მილიონობით საბჭოთა მებრძოლს.

„კრასნი პროლეტარის“ კოლექტივი ახლაც დგას პარტიული პროპაგანდის მოწინავე ხაზზე. მარტო წლეულს სტამბის საამქროებში დამზადდა სკკპ XXVI ყრილობის მასალების შემცველი 12 მილიონი ცალი ბროშურა და წიგნი. სტამბის მუშაკთა კეთილი ტრადიციაა დამკვრელურად მუშაობა. ეს ტრადიცია იმ წლებში გაჩნდა, როცა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა მაღალი შეფასება მისცა კოლექტივს იმისათვის, რომ ოპერატიულად გამოუშვა ბროშურა „რუსეთის ელექტრიფიკაციის ძირითადი ამოცანები“.

უწყვეტია ადამიანების ნაკადი წითელ მოედანზე. სულ ახალ-ახალი ფერები ემატება დემონსტრანტების კოლონათა მორთულობის სადღესასწაულო გვირგვინს.

მოციმციმე ელექტრონათურები დიდ პანოზე ჰიდროელექტროსადგურის წყალვარდნილიანი კაშხალის სილუეტს „ხატავენ“. ეს „ჰიდროპროექტის“ ინსტიტუტის „სავიზიტო ბარათია“.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოწინავე კოლექტივის ინიციატივა პროექტების მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლების და მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირების თაობაზე. ტრანსპარანტზე მოჩანს ციფრები: 230 მილიონი მანეთი, 370 ათასი ტონა ცემენტი, 110 ათასი ტონა ლითონნაგლინი. ამდენის დაზოგვა ივალდებულა ინსტიტუტის კოლექტივმა მეთერთმეტე ხუთწლედში ჰიდროტექნიკური ობიექტების მშენებლობაზე სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად.

სულ უფრო ომახიანად გაისმის „ორჯონიკიძელთა მარში“, სადღესასწაულო კოლონებში არიან უნიკალური მოწყობილობის შემქმნელები, ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი გაერთიანების საუკეთესო წარმომადგენლები. ამ სახელგანთქმული კოლექტივის ხუთასამდე მშრომელმა დაუჭირა მხარი სკკპ XXVI ყრილობის დელეგატების თაოსნობას და 7 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური დავალებანი.

დიდი ინტერნაციონალური ტრადიციები აქვს დედაქალაქელი ჩარხმშენებლების კოლექტივს. იგი მაღალეფექტიან მოწყობილობას აწვდის ბულგარეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიას, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სხვა ქვეყნებს.

„ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ!“ — ეს ლოზუნგი მოსკოველთა საქმეებითა და გრძნობებით არის განმტკიცებული. ფერად-ფერად ლოზუნგებს, ტრანსპარანტებსა და პანოებს შორის მოჩანს დედაქალაქის საწარმოთა ნაცნობი სახელწოდებები: „სერპ ი მოლოტ“, ვლადიმერ ილიას ძის სახელობისა, სახელმწიფო საკისრების ქარხანა, მე-2 საათების ქარხანა, „კრასნაია როზა“, „ტრიოხგორნაია მანუფაქტურა“.

თითქოსდა ცისარტყელისაგან უსესხებიათ ფერები თავისი კოლონის გასაფორმებლად სახელგანთქმული „ტრიოხგორკის“ ფეიქრებს — ეს არის საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული ქსოვილები. ამ საწარმოს კოლექტივისათვის წლევანდელი ოქტომბერი განსაკუთრებით სადღესასწაულოა. სამოცი წლის წინათ, 6 ნოემბერს „ტრიოხგორნაია მანუფაქტურას“ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ეწვია. სწორედ ამ დღეს თქვა მან შემდგომში საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები — „ყოველივე ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, გვიჩვენებს, რომ ჩვენ ვეყრდნობით ქვეყნად ყველაზე სასწაულებრივ ძალას — მუშათა და გლეხთა ძალას. ეს გარემოება გვაძლევს რწმენას, რომ შემდგომ წლისთავს ჩვენ შევხვდებით შრომის ფრონტზე გამარჯვების ნიშნით“.

ილიჩის წინასწარმეტყველება ახდა. თუ რევოლუციამდელ მანუფაქტურას მილიონი მეტრი ქსოვილის გამოსაშვებად ასი წელი დასჭირდა, ახლა კომბინატი ყოველწლიურად 220 მილიონ მეტრ ქსოვილს უშვებს.

„ტრიოხგორნაია მანუფაქტურას“ დემონსტრანტთა რიგებში ბევრი ახალგაზრდაა. მრავალი რამ აქვთ საამბობი ნორჩი თაობისათვის საწარმოს ვეტერანებს. ომის მრისხანე ჟამს, როცა მტერი მოსკოვს უახლოვდებოდა, ისინი კომკავშირული გულის კარნახით სახალხო ლაშქარში მიდიოდნენ. მათთან ერთად მშობლიური დედაქალაქის დასაცავად აღდგა ოთხასზე მეტი მანუფაქტურელი. ბევრი მათგანი წმიდათაწმიდა მიჯნების დაცვისას დაიღუპა. აი ამიტომ არის, რომ მომავალი დეკემბრის შაბათობის დევიზი — ვიმუშაოთ შინმოუსვლელთა მაგივრადაც, — კომბინატში აღიქვეს მოწოდებად იშრომონ მთელი ძალ-ღონით. ფეიქრებმა გადაწყვიტეს შაბათობის ანგარიშში გამოუშვან 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

მოედანზე კვლავ და კვლავ გაისმის ლენინური პარტიის, საბჭოთა ხალხის — აღმშენებელი ხალხის, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის სადიდებლები. მრავალხმიანი „ვაშა“ მთელ არემარეს ედება. მავზოლეუმის წინ კი მოსკოველთა ახალ-ახალი სადღესასწაულო კოლონები მიაბიჯებენ.

კოლონების სადღესასწაულო მორთულობას ემატება ფოტოსურათები, გაზეთის სტრიქონები, კინოლენტები.

ტიმირიაზევის აკადემიის მეცნიერებმა დემონსტრაციაზე მოიტანეს პურის თავთავი — მიწათმოქმედის შთაგონებული შრომის სიმბოლო. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა სკკპ XXVI ყრილობაზე სასურსათო პროგრამის საფუძვლად დაასახელეს. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში თვალსაჩინო როლი ეთმობა ქვეყნის წამყვან სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელს.

ტრანსპარანტზე მოჩანს ციფრი: 220 მილიონი მანეთი. ასეთია ტიმირიაზევის აკადემიის მეცნიერულ ნამუშევართა დანერგვის ეკონომიკური ეფექტი მეათე ხუთწლედის მანძილზე. კიდევ მეტი წვლილის შეტანას აპირებენ მეცნიერები ახლანდელი ხუთწლედის ფონდში.

დღეს წითელ მოედანზე მოვიდა სოციალისტური შრომის გმირი, დიდი სამამულო ომის მონაწილე კ. ა. ბორინი. იგი სოფლად სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყებია. 1936 წლის ნოემბერში კონსტანტინე ალექსანდრეს ძემ, რომელიც მაშინ ლენინური პარტიის წევრობის კანდიდატი იყო, თავისი კომბაინით რეკორდული რაოდენობის — 30 ათასი ცენტნერი მარცვალი გალეწა. ახლა კი დოცენტი ბორინი ტიმირიაზევის აკადემიის მასწავლებელია. მისი მოსწავლეები განაგრძობენ თავიანთი დამრიგებლის საქმეს სოფლად.

ყუბანელმა მხვნელ-მთესველებმა დააწესეს კ. ა. ბორინის სახელობის პრიზი, რომელიც მხარის წარჩინებულ მექანიზატორებს გადაეცემა.

— დღეს დღესასწაულია და მინდა გაგიზიაროთ ის, რაც განსაკუთრებით მახარებს და მაღელვებს, — ამბობს ვეტერანი. — სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ყოფნის 50 წლის“ ნიშნის დაწესება აღნიშნავს ახალ ზრუნვას იმათთვის, ვინც პირველ რიგებში მიაბიჯებდა გასაჭირისა და ომის დროს — მიაბიჯებდა სიხარულისა და გამარჯვებებისაკენ, ხალხთან ერთად, ჩვენს სახელმწიფოსთან ერთად. და ორმაგად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ პირველი ნიშანი გადაეცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს — ერთგულ კომუნისტ ლენინელს, მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, გამოჩენილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს. პარტიის ვეტერანების სახელით სულითა და გულით მინდა ვუსურვო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ჯანმრთელობა, წარმატებები კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

დღეს წითელ მოედანზე მოსკოველები სამშობლოს უპატაკებენ იმას, რაც უკვე გაკეთდა სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ, ერთმანეთს უზიარებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებული განხორციელების გეგმებს. საოქტომბრო დღესასწაულობის მონაწილეებს ხომ ბევრი რამ აქვთ საამბობი — იქნება ეს ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების ამოქმედება, მარცვლეულის უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანა თუ კოსმოსურ სიმაღლეთა ათვისება.

სტუმრების ტრიბუნებზე დგანან კოსმონავტები. მათ შორის არიან იმ ეკიპაჟების წევრები, რომლებიც საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პირველი ფრენისათვის ემზადებიან. მათ მიიღეს საბჭოთა მფრინავებისა და „ნორმანდია-ნემანის“ ლეგენდარული ესკადრილიის პილოტების ცაში შობილი მეგობრების ესტაფეტა.

— ოქტომბრის გამარჯვების წყალობით საბჭოთა ადამიანებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს კოსმოსის ათვისებაში, — ამბობს საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ი. ვ. მალიშევი. — მეათე ხუთწლედის მანძილზე განხორციელდა ხანგრძლივი ექსპედიციები „სალიუტ-6“ სადგურით, ორბიტაზე იყვნენ „ინტერკოსმოსის“ პროგრამის რეალიზაციაში მონაწილე საერთაშორისო ეკიპაჟები. გამოცდა გაიარა და ცხოვრების საგზური მიიღო „სოიუზ-ტ“ სამადგილიანმა სატრანსპორტო ხომალდმა.

კოსმოსი მშვიდობას, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ამის დამაჯერებელ დასტურად იქცა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ნაყოფიერი თანამშრომლობა. ჩვენი ქვეყნების მეცნიერებს უკვე აქვთ ექსპერიმენტების, კოსმოსური კვლევის ერთობლივად მოწყობის გამოცდილება. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ფრენა ამ დარგში კონტაქტების განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდება. მისთვის მზადება კარგად დაიწყო. ჩვენი ეკიპაჟები დასახული ვადისათვის მზად იქნებიან მათ წინაშე მდგომი ამოცანის შესასრულებლად.

მოედანი კვლავ დაფარა ალისფერმა ტალღამ. ეს დედაქალაქის სიჭაბუკე მიესალმება ოქტომბერს წითელი დროშებით, ალმებით, სრულიად საკავშირო ალკკ სამკერდე ნიშნებით.

კომკავშირმა ეს-ესაა 63-ე წლისთავი აღნიშნა. მან ქვეყანასთან ერთად განვლო ბრძოლისა და გამარჯვებების გზა. სამოქალაქო ომი და სახალხო მეურნეობის განვითარება, დიდი სამამულო ომი და ქალაქებისა და სოფლების აღორძინების ეპოქა, ყამირი და დამკვრელური მშენებლობები — ყოველივე ეს სახელოვანი გზის ეტაპებია.

დღეს ეს გზა გადის ბაიკალ-ამურის მაგისტრალსა და არაშავმიწანიადაგიან ზონაზე, „ატომმანქანასა“ და კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსზე, ციმბირის ნავთობისა და გაზის საბადოებზე.

ახლა 130-ზე მეტი ობიექტია გამოცხადებული სრულიად საკავშირო დამკვრელურ ობიექტებად. 500 ათასი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, საამქრო, უბანი და ფერმა იბრძვის ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის. უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა კოლექტივებს ამას წინათ შემატა სკკპ XXVI ყრილობის სახელობის 7-ათასიანი სრულიად საკავშირო დამკვრელური კომკავშირული რაზმი. ახალგაზრდობას შეუძლია ბევრი რამ მოახსენოს ქვეყანას სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობის ტრიბუნიდან.

იყავით კომუნიზმის შეგნებული მებრძოლები! — გაისმის მოედანზე პარტიის საოქტომბრო მოწოდება ახალგაზრდობისადმი.

რევოლუციის ვეტერანები და შრომის გმირები ესტაფეტას საიმედო ცვლას გადასცემენ. ოქტომბრის საქმე მარად იცოცხლებს!

**წითელი მოედნიდან რეპორტაჟს გადმოსცემდნენ საქდესის კორესპონდენტები: ლ. ერმაკოვა, ვ. ბეზბრეჟნი, მ. ბოროდინია, ი. გურიაკი, პ. რიაბოვი.**

# კახეთს ამირანი ჩირაღდანი დაჰნათი

**სიღნაღის** გარეუბანში, პირველი თოვლით გადაქათქათებულ ბორცვზე დიდების შთამბეჭდავი მემორიალი აღიმართა. მისი ცენტრალური ფიგურაა ამირანი. ბრინჯაოში ჩამოსხმულ ჭაბუკს მარცხენა ხელით ცისაკენ აღუპყრია მოგიზგიზე ჩირაღდანი. ჩირაღდანი სიკეთის, ბედნიერების, ნათელის სიმბოლოა. მაგრამ ბედნიერებას ხალხის მტრებისაგან დაცვა სჭირდება. ამიტომაც უკავია მარჯვენა ხელში ამირანს მახვილი. ასეთად აღბეჭდეს ქართული ხალხური ეპოსის გმირი მოქანდაკე ვ. ონიანმა და არქიტექტორმა ვ. დავითაიამ.

შემთხვევითი როდია, რომ ეს კომპლექსი საზეიმოდ გაიხსნა სწორედ 7 ნოემბერს, იმ დღეს, როცა ვდღესასწაულობთ დიდი ოქტომბრის წლისთავს, რომელმაც ქართველ ხალხს თავისუფალი ცხოვრების ნათელი და ბედნიერება მოუტანა.

დგება საზეიმო წუთი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე მემორიალისაკენ მიმავალი ბეტონის ბილიკის დასაწყისში გაბმულ ალისფერ ლენტს ჭრის.

მასთან ერთად ძეგლს ათვალიერებენ ამხანაგები გ. ანდრონიკაშვილი, პ. გილაშვილი, ა. ინაური, გ. კოლბინი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, თ. მოსაშვილი.

ძველთაძველი ქალაქის, სიღნაღის ცენტრში, თითქოსდა ირაო შეუკრავსო ალაზნის ველის თავზე, ისე წამომართულა ჰეროვანი ნაგებობა. ეს არის რაიონული ცენტრისა და წნორის დამაკავშირებელი ბაგირგზის ზედა სადგური. სიღნაღელებს აუხდათ ო
ნდელი ოცნება, რომ წნორს უ
კლესი გზით დაკავშირებოდ
4460 მეტრი სიგრძის ბაგირ
მთის მიხვეულ-მოხვეული გ
ექვს კილომეტრს „ცვლის“,
30 კაცის ტევადობის ვაგონი
ღნაღსა და წნორს შორის მ
ბარე მანძილს 15 წუთში ფარ

მიტინგზე შეკრებილ სიღნა
ლებს სიხარულით გაცისკროვ
ბიათ სახეები. ლენტს ჭრის ს
რთველოს სსრ მინისტრთა ს
ჭოს თავმჯდომარე ზ. პატარი

პირველ მგზავრებთან ერთ
წნორში ბაგირგზით საპატ
სტუმრებმაც იმოგზაურეს.

სიღნაღის რაიონში შექ
ამიერკავკასიაში უდიდესი მსხ
ფეხა რქიანი პირუტყვის სასუ
ბელი ექსპერიმენტული კომ
ლექსი. ყოფილ ბიცობებზე, რ
მლებსაც თანამედროვე მეცნ
რებამ ნაყოფიერება დაუბრ
უვლიან 12.500 სულ პირუტ
მათ შორის 3.500 ძროხას. წნ
რის კომპლექსი სამრეწველო
ფუძეზე მოქმედი ხორ
ფაბრიკაა. მარტო წლეულს
უკვე გაასუქეს და ჩააბარეს 2.1
მოზვერი, რომელთაგან თით
ეული საშუალოდ 360 კილ
გრამს იწონის. მაგრამ ეს ზღვ
როდია, ითქვა კომპლექსის ხე
მძღვანელებთან და სპეციალ
ტებთან ამხანაგ ე. შევარდნა
შეხვედრის დროს.

რესპუბლიკის ერთ-ერთი დი
მნიშვნელოვანი რეგიონის კა
თის განახლება, რომელსაც კუ
ტურული და სამეურნეო ახა
მშენებლობებით ესხმება ხორ
მშრომელებს ახალი შესანიშნა
მიღწევებისათვის შთააგონებს.

(საქინფორმი)

# პლანეტის დღესასწაულ

### დიდი ოქტომბრის
### წლისთავის
### აღსანიშნავად

**ბერლინი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ამაყობენ იმით, რომ მჭიდრო მეგობრობა აკავშირებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და საბჭოთა ხალხთან, რომლებიც ექვს ათეულ წელზე მეტია მშვიდობისა და საზოგადოებრივი პროგრესისაკენ კაცობრიობის სწრაფვის ჭეშმარიტი გამომხატველები არიან, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა ე. მიუკენბერგერმა. იგი გამოვიდა დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ქვეყნის ხელმძღვანელები.

**ვარშავა.** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება გარდატეხის მომენტად იქცა ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის პოლონელი ხალხის ბრძოლაში, განაცხადა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ჩირეკმა დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობა, მეგობრობა და კეთილმეზობლური თანამშრომლობა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია, აღნიშნა მან.

ჩვენი მოკავშირენი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ პოლონეთი არის და იქნება სოციალისტური სახელმწიფო, სოციალისტური თანამეგობრობის მტკიცე რგოლი, სსრ კავშირის მეგობარი და მოკავშირე.

საზეიმო სხდომაში მონაწილეობდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ვ. იარუზელსკი, სახალხო პოლონეთის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

ვარშავაში გაიმართა საბჭოთა მეომრების სასაფლაო-მავზოლეუმის, უცნობი ჯარისკაცის საფლავის, ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლის გვირგვინებით შემკობის ცერემონია.

**ულან-ბატორი.** აქ გაიმართა ულან-ბატორის მშრომელთა წარმომადგენლების მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავს.

მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახელმწიფოს დამაარსებლის დ. სუხე-ბატორის სახელობის მთავარი მოედნის ცენტრალურ ტრიბუნაზე იყვნენ მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ბატმუნხი, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

დემონსტრაცია ნაცადი მებრძოლი ავანგარდის - მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის გარშემო მონღოლი ხალხის მჭიდრო შეკავშირების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის. მონ
ლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობ
ბისა და თანამშრომლობის მკ
მანიფესტაციად გადაიქცა.

**ადის-აბება.** დიდი ოქტომბ
წლისთავის აღსანიშნავი საზეი
კრება გაიმართა ეთიოპიის დე
ქალაქში. კრებაზე გამოვიდა ე
ოპიის მშრომელთა პარტიის ორ
ნიზაციის კომისიის ცენტრალ
კომიტეტის წევრი, ტრანსპორტ
და კომუნიკაციის მინისტრი, ე
ოპია-საბჭოთა კავშირის მეგობ
ბისა და სოლიდარობის კომ
ტის თავმჯდომარე იუსუფ ახმ
მან აღნიშნა, თუ რა [illegible]
ისტორიული მნიშვნელობა
დიდ ოქტომბერს, რომელმაც შ
ვალა პლანეტის მრავალი ხალ
ბედი. ლენინის ანდერძის ერთ
ლი საბჭოთა კავშირი ყოველმ
დახმარებას უწევს იმპერიალიზ
სა და რეაქციის წინააღმდეგ მ
ძოლ ხალხებს, თქვა მან.

**კარაკასი.** აქ გაიმართა დი
ოქტომბრის 64-ე წლისთავის
მიძღვნილი საზეიმო საღამო.
დი ოქტომბრის სოციალისტ
რევოლუციამ, განაცხადა ვენ
ელის თვალსაჩინო საზოგადო
ღვაწემ რ. კინტერომ, მთელი პ
ნეტის მშრომელები ჩააბა სა
თლიანობისათვის. კაპიტალის
რი ექსპლოატაციისა და იმპე
ლისტური მონობის წინააღმ
ბრძოლაში. დღეს დიდი ლე
სამშობლო გვიჩვენებს, თუ
უდიდეს წარმატებებს მიაღწია
მუნისტური საზოგადოების მშე
ლობაში. იგი ქვეყნად მტ
მშვიდობისათვის პროგრე
ძალების მოძრაობის ავანგარდ

**ნიქოზია.** დიდი ოქტომბ
წლისთავის აღსანიშნავ აქ გამ
თულ საზეიმო კრებაზე მოხსენ
გააკეთა კვიპროსის მშრომელ
ლხის პროგრესული პარტიის გ
ნერალურმა მდივანმა ე. პაპაი
ნუმ. საბჭოთა კავშირი, თქვა მ
თავისი არსებობის პირველი დ
ებიდანვე ახორციელებს მშვიდ
ბის პოლიტიკას, რომელსაც
ფუძველი ჩაუყარა დიდმა ლენ
მა.

საბჭოთა სამშვიდობო პროგრ
შეესაბამება ყველა სახელმწიფ
და ხალხის საარსებო ინტერე

**დელი.** აქ გაიმართა დიდი
ტომბრის სოციალისტური რევ
ლუციის 64-ე წლისთავისადმი მ
ღვნილი საზეიმო საღამო. კრებ
ინდოეთის საზოგადოებრივ სა
შაოთა და საბინაო მშენებლო
მინისტრის მოადგილემ მ. უ
არიფმა ხაზი გაუსვა, რომ რუ
თის რევოლუციამ შეცვალა ის
რიის მსვლელობა, აზიის, აფრ
სა და ლათინური ამერიკის ქვ
ნების ჩაგრულ ხალხთა ეროვნუ
განმათავისუფლებელი ბრძოლ
აღმავლობის მძლავრ სტიმულ
იქცა.

**ბეირუთი.** დიდი ოქტომბ
წლისთავის აღსანიშნავად აქ გამ
რთულ მიტინგზე ლიბანის კომ
რტიის ცენტრალური კომიტეტ
გენერალურმა მდივანმა ჟ. ხა
განაცხადა, რომ ლენინის პრინ
პების ერთგული საბჭოთა კავშ
მტკიცედ იბრძვის 80-იანი წლე
სამშვიდობო პროგრამის განსახ
ციელებლად.

პალესტინის განთავისუფლე
ორგანიზაციის აღმასკომის თავ
დომარემ ი. არაფატმა პალესტ
არაბი ხალხის სახელით გულ
დი მადლობა გადაუხადა სსრ კ
შირს, პირადად სკკპ ცენტრალუ
კომიტეტის გენერალურ მდივ
სსრ კავშირის უმაღლესი საბ
პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ
ბრეჟნევს, სოციალისტური თა
მეგობრობის ქვეყნებს კანონიე
ეროვნული უფლებების. ახ
აღმოსავლეთში სამართლიანი
მტკიცე მშვიდობის დამყარე
თვის არაბთა ბრძოლაში ქმედი
დახმარებისა და თანადგომის
მო. (საქდესი, 7 ნოემბერი).

სამხედრო პარადი წითელ მოედანზე.

ЗА МИР,
ЗА КОММУНИЗМ!

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე.

# ჩვენი ქვეყნის ქალაქებში

**ლენინგრადი.** რევოლუციის დიადი საქმის მემკვიდრეებმა ვეტერანების მხარდამხარ ჩაიარეს დღეს სასახლის მოედანზე. ოქტომბრის ბიოგრაფია გრძელდება ადამიანთა ბედში, მუშათა დინასტიების შრომითს ესტაფეტაში. თაობიდან თაობას გადასცემენ ისინი არა მარტო ოსტატობას, არამედ რევოლუციური შემართების თვით სულისკვეთებასაც.

სასახლის მოედნის თავზე მოცურავენ საოკეანო გემების, ტურბინების, ტელესკოპების მაკეტები. შრომითი კოლექტივები დიდ ოქტომბერს უპატაკებენ თავიანთ წარმატებას მეთერთმეტე ხუთწლედის სტარტზე. საპროექტო სიმძლავრეს მიაღწია ლენინგრადის ვ. ი. ლენინის სახელობის ატომურმა ელექტროსადგურმა, რომელიც წლის დამლევისათვის გამოიმუშავებს 100 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ენისეის ნაპირებიდან კი დღესასწაულის წინ მოვიდა ცნობა საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის მეექვსე აგრეგატის ამუშავების შესახებ. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ლენინგრადელმა ენერგომანქანათმშენებლებმა.

მთელი ქვეყნის გეოგრაფია წარმოგვიდგება დემონსტრაციის ნაირფერ გაფორმებაში. ბამი, უსტ-ილიმი, ატომმანქანა — აი ზოგიერთი მისამართი, რომლითაც იგზავნება ლენინგრადის სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია.

კოლონებში მოგუგუნებენ „კიროვის ქარხნის“ გაერთიანების მარკიანი კ-701 ბუმბერაზი ტრაქტორები. მათ მალე შეცვლის 500 ცხენისძალის სიმძლავრის ახალი მოდიფიკაციის მანქანა.

სადღესასწაულო მანიფესტაცია ლენინგრადში თაობათა რევოლუციური მემკვიდრეობითობის, პარტიის ბრძნული ლენინური პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობის მხურვალე მოწონების ნათელი დემონსტრაცია გახდა.

**კიევი.** დღესასწაულის წინ ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცადან“ ბალტიის ზღვის ნაპირებისაკენ გაემგზავრა ტრალერი, რომლის მაკეტიც კრეშჩატიკის პროსპექტზე ჩაატარეს როგორც საწარმოს კოლექტივის მნიშვნელოვანი შრომითი გამარჯვების დადასტურება. ამ გემის წყალში ჩაშვებით ვადამდე შესრულდა წლიური პროგრამა.

კიეველი მეხომალდეებისათვის განსაკუთრებული აზრი აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებათა სიტყვებს — „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობასა და ურყევ ერთიანობას!“, რომლებიც პანოებსა და ტრანსპარანტებზე მრავალგზის მეორდება. ჯერ კიდევ ქარხნის შექმნის დროს — პირველი ხუთწლედის დამდეგს მას დაეხმარნენ მოსკოვის „კრასნი პროლეტარის“, ლენინგრადის „კრასნი პუტილოვეცის“, გორკის „დვიგატელი რევოლუციის“ კოლექტივები. ახლა მისამართებით, სადაც საწარმოს პროდუქცია იგზავნება, შეიძლება ქვეყნის გეოგრაფიის შესწავლა. კიევის მარკიანი გემები დგანან ვახტზე ზღვებსა და ოკეანეებში, შრომობენ ვოლგასა და ნევაზე, ლენასა და ამუ-დარიაზე.

იმათ შორის, ვინც ღირსეულად აგრძელებს ტრადიციებს, არის მ. შევჩენკოს ამწყობთა მოწინავე ბრიგადა. ჩინებული განწყობილება აქვს კოლექტივს: დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავის აღსანიშნავი დამკვრელური ვახტის დროს გაიხსნა მომავალი წლის შრომითი ანგარიში. წარმატებას ბევრად შეუწყო ხელი ერთიან განწესზე გადაყვანამ. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი ფორმა კარგად მიესადაგა მეგობრობის და ურთიერთდახმარების ატმოსფეროს, რომელიც მრავალეროვან კოლექტივებში სუფევს.

— ჩვენს ბრიგადას, მართლაც რომ შეეფერება სიტყვები სიმღერისა „ერთად ერთსულოვან ოჯახში“, — თქვა ახალგაზრდა შემდუღებელმა ტ. არაბულმა. — არმიაში სამსახურის შემდეგ მე, ქართველ ახალგაზრდას, აქ ღვიძლი შვილივით შემხვდნენ. უკრაინელი მიხეილ შევჩენკო დამეხმარა სპეციალობის დაუფლებაში. რუსი ვალენტინ მალიშის რეკომენდაციით მიმიღეს ლენინური პარტიის რიგებში.

**ბაქო.** წლის დამდეგიდან საჩუქარს უმზადებდა დიდ ოქტომბერს ლეიტენანტ შმიდტის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ტექნოლოგი ზ. კიაზიმოვი. დღესაც, ამ სადღესასწაულო დღეს, მან სამშობლოს უპატაკა: „მიჯნა დაძლეულია! რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 150 ათასი მანეთი შეადგინა“. სიახლენი ლითონის მომჭირნეობას ითვალისწინებენ.

ახალგაზრდა ნოვატორს ამხანაგებმა დიდი ნდობა გაუწიეს — ყოფილიყო მეწინავე მშობლიური საწარმოს კოლონაში. შემოქმედებითი გამარჯვების სიხარული მასთან ერთად გაიზიარა ორმა უმცროსმა ძმამ, რომლებსაც ზულფუგარი დაეხმარა მუშური პროფესიის დაუფლებაში, აზიარა მუდმივ ძიებას.

„ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“ — ეს ლოზუნგი მრავალგზის გამეორდა აზერბაიჯანის დედაქალაქში სადღესასწაულო მსვლელობის ტრანსპარანტებზე. მანქანათმშენებელთა კოლონებმა გამოიტანეს მოწყობილობის მაკეტები, რომლებიც კოლექტივმა დაზოგილი ლითონებით დაამზადა. მარტო წლის დამდეგს მან დაზოგა 450 ტონა ლითონი. თითქმის ოთხი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ნედლეულისა და ენერგორესურსების ყაირათიანი ხარჯვისათვის იბრძვიან ბაქოს სხვა საწარმოთა მშრომელებიც. წლის დამდეგიდან მათ დაზოგეს ასიათასობით ტონა სათბობი, დიდძალი ლითონი. ბევრი კოლექტივი დამატებით პროდუქციას უშვებს დაზოგილი მასალებით, ენერგორესურსებით.

საზეიმოდ გაფორმებულ კოლონებში გამოირჩევა თავთავები, თეთრად მოქათქათე ბამბის ხოკერები, ყურძნის ქარვისფერი მტევნები. წელს რესპუბლიკამ ამ კულტურების რეკორდული მოსავალი მოიწია.

**ერევანი.** წითელი და შემოდგომის მზის ფერებით გაკაშკაშებულ სომხეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე ტრადიციისამებრ გამოვიდნენ ქალაქის უდიდესი სამრეწველო რაიონის — ლენინის რაიონის წარმომადგენლები. სადღესასწაულო კოლონებს სათავეში ედგნენ რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოს — „სომხეთელექტრომანქანის“ გაერთიანების მშრომელები.

ტრანსპარანტებზე და პანოებზე, რომლებიც კოლექტივის შრომითს წარმატებებს ეძღვნება, იყო ორასი ახალგაზრდა მუშის პატაკი, სადღესასწაულო ვალდებულებანი ვადამდე რომ შეასრულეს. კოლონას მეთაურობს ამწყობი ზეინკალი, გაერთიანების დამრიგებელთა საბჭოს თავმჯდომარე, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. არუთინიანი.

— სასიხარულოა, რომ ახალგაზრდობა ბაძავს ვეტერანებს არა მარტო ოსტატობის საიდუმლოების ძიებაში, არამედ აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაშიც, — თქვა წარჩინებულმა მუშამ. — საწარმოს ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის ბრძოლის ინიციატორი გახდა, სათავეში ჩაუდგა თავიანთ ბრიგადებში გაშლილ მოძრაობას „ხუთწლედი — 4,5 წელიწადში“.

წარმატებით ზრდიან ახალგაზრდა ცვლას რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები კაბელის ქარხნის მუშა ა. ღარიბიანი, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშა ა. კაზარიანი და ხალხის სხვა რჩეულები. რესპუბლიკის ბევრ საწარმოში დეპუტატთა ინიციატივით შემუშავებულია და წარმატებით ხორციელდება ახალგაზრდა მუშათა მომზადების კომპლექსური გეგმები. ამის მკაფიო მაგალითია „არუთინიანის სკოლა“ გაერთიანება „სომხეთელექტრომანქანაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოქტომბრის მარში

## სამხედრო პარადი და მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია თბილისში

ყოველ ოქტომბერს თავისი მეორებელი ნიშან-თვისებე- ქვს. რესპუბლიკის მშრომელ- ახლანდელ დღესასწაულს ას- ონებს წლევანდელი მაისის მის ნათელი, რომელიც საბ- თა საქართველოსა და მისი უნისტური პარტიის მე-60 სთავს მიეძღვნა.

კვე ექვსი ათწლეული გავიდა შემდეგ, რაც თბილისიდან კოვში, კრემლში გაიგზავნა ეშა „თბილისში საბჭოთა ხე- უფლების წითელი დროშა ალებს. გაუმარჯოს საბჭოთა ართველოს!". არცთუ ისე დი- დროა ისტორიის თვალსაზრი- , და ამასთანავე მთელი ეპო- იმ გარდაქმნების თვალსა- სით, საქართველოს მიწა- ლზე რომ მოხდა, გარდაქმნე- , რომელთა აზრი და შინაარ- შეიძლება მოკლედ გამოხატო ყვებით: საქართველოს აღორ- ება, აყვავება და აღმაფრენა.

აფიოდ, რელიეფურად, მთელი ულით გამოიკვეთა რესპუბ- ს მიღწევები მისი სახელო- სამოცი წლის თავის დღე- აულის დღეებში. დღესასწა- მა ცხადყო სოციალისტური მოკრატიის, საბჭოეთის ხალხ- ინტერნაციონალური ერთია- ბისა და ძმობის ცხოველმყო- ელი ძალა.

ზეიმს განსაკუთრებული აზრი მნიშვნელობა მიანიჭა სკკპ ტრალური კომიტეტის გენე- ლური მდივნის, სსრ კავშირის ლესი საბჭოს პრეზიდიუმის მჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ჟნევის ჩამოსვლამ. თბილისში ართულ ზეიმზე ლეონიდ ილი- ძის ბრძნულმა, ღრმაშინაარ- ანმა სიტყვამ, მისმა სხვა გა- ოსვლებმა შეაიარაღეს რესპუბ- კის კომუნისტები, ყველა რომელი მოქმედების საბრძო- პროგრამით, მიანიჭეს მათ ლი მძლავრი სტიმული სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ დაწყვეტილებათა შესრულები- სათვის.

დღესასწაულისწინა დღეები აღ- სავსეა სასიხარულო ამბებით. ოქტომბრის წლისთავს ყოველი მათა კოლექტივი, თითოეული რომელი ახალი მიღწევებით ეგება ხოლმე, დიდი ოქტომბრის ლანდელი დღესასწაული პირ- ლია მიმდინარე ხუთწლედში. კპ XXVI ყრილობის გადაწყვე- ლებებმა განსაზღვრეს მისი მპი, მისი შინაარსი, მისი მარჯვებები.

1981 წლის 7 ნოემბრის დი- ა. რუსთაველის პროსპექტზე საბრძოლო დროშებით გამწკრი- ვულან თბილისის გარნიზონისა ამიერკავკასიის წითელდრო- შოვანი სამხედრო ოლქის ჯარე- ქვეგანაყოფები, რომლებიც მხედრო პარადზე მოვიდნენ.

ჯარების სადღესასწაულო პა- დისა და მშრომელთა დემონს- აციის დაწყებამდე რამდენიმე თით ადრე ტრიბუნებზე ადი- საპატიო სტუმრები, დედაქა- ქის სამრეწველო საწარმოების წინავეები და ნოვატორები, სპუბლიკის კოლმეურნეობების, ბჭოთა მეურნეობების, მშენებ- ობების წარმოგზავნილნი, პარ- ის ვეტერანები, დიდი სამამუ- ომის გმირები, სსრ კავშირის ღლესი საბჭოსა და საქართვე- ოს სსრ უმაღლესი საბჭოს დე- ტატები, პარტიული, საბჭოთა, ოფკავშირული, კომკავშირული შაკები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ანაგები **ე. ა. შევარდნაძე, ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გი- შვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. ლბინი, თ. ნ. მენთეშაშვი- , ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. ტიაშვილი, ტ. ვ. როხტიაშ- ლი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხე- , ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეი- ლი, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ჯონიკიძე**, საქართველოს სსრ ღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მჯდომარის მოადგილე **ვ. შ. რაძე**, საქართველოს სსრ მინის- თა საბჭოს თავმჯდომარის ადგილეები **ვ. ი. ვადაჭკორია, გ. ვარძელაშვილი, დ. ლ. ქა- ველიშვილი, ი. ი. ქედიშვილი**, იერკავკასიის წითელდროშოვანი მხედრო ოლქის სამხედრო საბ- ს წევრი — პოლიტსამმართვე- ს უფროსი გენერალ-ლეიტე- ნტი **ა. ი. შირინკინი**, ამიერკავკა- ს წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი **ვ. ქ. კრილიუკი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი **ბ. ე. სენტიურინი**, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. დ. გაბუნია**.

დილის ათ საათზე რუსთაველის პროსპექტზე ღია მანქანით გამოდის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **ო. თ. კულიშევი**. იგი იბარებს პარადის სარდლის — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილის ღ. გ. შკრუდნევის პატაკს და მისი თანხლებით უვლის ჯარებს, ულოცავს მათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავს. პასუხად გუგუნებს ძალუმი „ვაშა!".

ჯარების შემოვლის შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკი ო. თ. კულიშევი ტრიბუნაზე ადის და სიტყვას წარმოთქვამს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის სახელით და დავალებით იგი მხურვალედ მიესალმება ამიერკავკასიელ მეომრებს, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს, ულოცავს მათ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავს.

— ოქტომბრის სამოცდამეოთხე წლისთავს საბჭოთა ხალხი მეთერთმეტე ხუთწლედის მარშზე ეგებება, — თქვა ამხ. კულიშევმა. — მშრომელები იღვწიან რათა ხორცი შეასხან სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, წარმატებით შეასრულონ ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი.

ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა ერთსულოვან ოჯახში სოციალისტურ-ეკონომიკური განვითარების სწრაფ ტემპს უზრუნველყოფენ ოთხგზის ორდენოსანი საქართველოსა და მისი დედაქალაქის — ქალაქ თბილისის მშრომელები. ოქტომბრის დღესასწაულის წინ მათ კიდევ უფრო მაღლა აღმართეს სოციალისტური შეჯიბრების დროშა და შესანიშნავი შრომითი წარმატებებით გაახარეს სამშობლო. რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა ათი თვის გეგმა, შესანიშნავი, რეკორდული მიღწევები მოიპოვეს მეჩაიეებმა და მევენახეებმა. მოწეულია სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების უხვი მოსავალი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, შეიარაღებული ძალების მეომრები მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საქმიანობას.

დიდი ოქტომბრის მონაპოვართა საგუშაგოზე დგანან საბჭოთა შეიარაღებული ძალები. მათი საბრძოლო პოტენციალი — მაღალი ტექნიკური აღჭურვილობის, მხედრული ოსტატობისა და ურყეველი მორალური სულისკვეთების სალი შენადნობი — დღეს განსაკუთრებით მტკიცეა.

ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები. ისინი ამრავლებენ უფროს თაობათა ტრადიციებს და თავიანთი ოლქის სახელოვანი იუბილეს წელს განუხრელად აძლიერებენ საბრძოლო მზადყოფნას, განამტკიცებენ მხედრულ დისციპლინას და ორგანიზებას, ბეჯითად სრულყოფენ საბრძოლო ოსტატობას.

საბჭოთა მეომრებს თავიანთ მაღალ მოვალეობად მიაჩნიათ კვლავაც ფხიზლად იდგნენ ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი, აღმშენებლობითი შრომის საგუშაგოზე.

თავისი სიტყვის დასასრულს გენერალ-პოლკოვნიკმა ო. თ. კულიშევმა წარმოთქვა დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავის, კომუნისტური პარტიის — ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის სადიდებელი. გამარჯვება უსურვა გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს.

რუსთაველის პროსპექტზე კვლავ გრიალებს სამგზის „ვაშა". იგი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნების დიდებულ ჰანგებს ერწყმის. ქუხს საარტილერიო სალუტის ზალპები.

გაისმის ბრძანება:

— პარადო, სმენა! საზეიმო მარშისათვის..

პარადს ხსნის თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის მესამე კურსის კურსანტების მედაფდაფეთა ასეული.

უზადო მწყობრით ჩაუარა ტრიბუნებს გაერთიანებულმა ოფიცერთა პოლკმა. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოს ოფიცერთა კოლონის წინ მოცურავს დიდებით მოსილი ორდენის ლენტით შემკობილი წითელი დროშა, დროშა მოაქვს შტაბის ერთ-ერთ მოწინავე ოფიცერს პოდპოლკოვნიკ ლეონიდე კლადკიცკის. მას მოჰყვებიან პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე მალი და პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ბერეზინი.

მტკიცე ნაბიჯით, მწყობრად მოდიან ოფიცრები. მათ წინ მოუძღვის პოლკოვნიკი უშანგი შერმაზანაშვილი — თბილისში გამართული ორი საიუბილეო პარადის — საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50-ე წლისთავის და მე-60 წლისთავის აღსანიშნავი აღლუმების მონაწილე.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოს ოფიცრებს მოჰყვებიან სამხედრო მფრინავები. მშვიდობიანი ცის გულადი დამცველები, საუკეთესო სპეციალისტები საიმედოდ იცავენ საბჭოთა ადამიანების შრომას. აი ერთი მათგანი, კაპიტანი ვ. კულიაპინი. ამ ცოტა ხნის წინ მას ურთულეს პირობებში მოუხდა საჰაერო საწვრთნელი მიზნის დაჭერა. პილოტმა ჩინებულად გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას.

მწყობრად მოდიან თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტთა კოლონები. გასული წლის აგვისტოში ამ უძველეს სამხედრო სასწავლებელს 60 წელი შეუსრულდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სამხედრო კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის სასწავლებელი მეორე ორდენით — წითელი ვარსკვლავით დაჯილდოვდა.

პარადში მონაწილეობენ თბილისში ჩამოსული სუვოროვის ორდენის ვენის წითელდროშოვანი გვარდიის სასწავლო მოტომსროლელი პოლკის მეომრები. 1941 წლის 18 სექტემბერს ამ ნაწილს პირველთა შორის მიენიჭა გვარდიულის სახელწოდება.

„ციდან — ბრძოლაში!" — ასეთია მედესანტე მეომართა დევიზი. გულადობა, ვაჟკაცობა და ოსტატობა მათ მუდამ ახასიათებდათ. ამაში თვალნათლივ რწმუნდები, როცა თვალს ადევნებ ფრთოსანი ქვეითი ჯარისკაცების მოქმედებას ტაქტიკური წვრთნის დროს. არაერთგზის გადმომხტარა პარაშუტით მწყობრში მომავალი რიგითი ზ. იაკობაშვილი, კომუნისტი, ასეულის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

რუსთაველის პროსპექტზე მოდიან არტილერისტი მეომრები, ზედმიწევნით ფლობენ მრისხანე იარაღს მწყობრში მომავალი სერჟანტები ვ. ვალიევი, ი. ტყებუჩავა, ვ. დოვბნია და ს. ბენდიაშვილი.

მტკიცე ნაბიჯით მოდიან მეკავშირე მეომრები. მწყობრში ვხედავთ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნებს, მაღალი კლასის სპეციალისტებს, მათში ბრძოლა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს მეკავშირეთა მომზადებას. მეთაურთა ღრმა ცოდნა, სიმტკიცე, დიდი გამოცდილება იხმარება მეკავშირეებს დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

გულთბილად მიესალმებიან მაყურებლები მწვანექუდიან მეომრებს, რომლებიც სადღესასწაულო ტრიბუნებს მიუახლოვდნენ. მოდიან მესაზღვრეები — ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ხელშეუვალი მიჯნების ფხიზელი გუშაგები.

გამოჩნდა ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები. ტრიბუნებს ჩაუარეს რეაქტიულმა დანადგარებმა.

დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა სამხედრო პარადმა ცხადყო ამიერკავკასიის მეომრების მაღალი საბრძოლო პოტენციალი — საუცხოო ტექნიკური აღჭურვილობის, მხედრული ოსტატობის, ურყევი მორალური სულისკვეთების მტკიცე შენადნობი, მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის უსაზღვრო ერთგულება, მუდმივი მაღალი საბრძოლო მზადყოფნა ჩვენი საყვარელი სამშობლოს დასაცავად.

სადღესასწაულო დემონსტრაციის ტრადიციისამებრ ხსნიან საზეიმოდ მორთული მანქანები, რომლებითაც მოდიან რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები — თბილისის სტუმრები. მათ შორის არიან ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. შ. გოგაძე, გუდაუთის რაიონის სოფელ აბგარხუკის კოლმეურნეობა „აფსნის" მეთამბაქოე ა. ა. ბარცბა, „საქსასოფლტექნიკის" ზნაურის განყოფილების მექანიზატორი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი შ. ზ. გაბარაევი, ქუთაისის სახლსაშენებელი კომბინატის ბრიგადირი ვ. რ. აბზიანიძე, სიღნაღის რაიონის ვაქირის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადირი ა. გ. ტურიაშვილი, ბოლნისის რაიონის არუხლოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ბ. ა. ნამაზოვი და სხვები.

ალისფერ ტრანსპარანტებზე წარწერილია ახლანდელი საოქტომბრო დემონსტრაციის დევიზები: „პარტიის, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის განაწესებს შევასრულებთ!", „მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს — დამკვრელური ფინიში".

საქინფორმის კორესპონდენტები სადღესასწაულო კოლონებს შეერივნენ და დემონსტრაციის მონაწილეებს ესაუბრებიან.

— ასეთი ძნელი წელი არ მახსოვს, — ამბობს სიღნაღელი ა. გ. ტურიაშვილი. — ხან გვალვა იყო, ხან თქეში და სეტყვა. მაგრამ ვაზმა ყველაფერს გაუძლო, უფრო სწორად ჩვენ გავაძლებინეთ. გეგმა უკვე შევასრულეთ. ჩვენი რაიონის ვალდებულებაა 67 ათასი ტონა. მაგრამ ისეთი მოსავალია, რომ ალბათ, ამ მიჯნასაც გადავამეტებთ.

თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო მსვლელობას იწყებენ დედაქალაქის უდიდესი სამრეწველო რაიონის — ლენინის რაიონის წარმომადგენლები.

ყოფილი ნაძალადევის ისტორია საქართველოს დედაქალაქის პროლეტარიატის ჩამოყალიბების ცოცხალი ისტორიაა. აქ დაიწყო 20-იანი წლების რევოლუციური გარდაქმნები, აქ იშვა პირველი ხუთწლედების შრომითი თაოსნობანი. მათთან არის დაკავშირებული ნიკოლოზ ზაქარაშვილის — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ვეტერანის სახელიც. თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ მას რესპუბლიკაში პირველს მიენიჭა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი, ზაქარაშვილი მათ შორის იყო, ვინც რესპუბლიკაში წამოიწყო კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა.

დემონსტრანტთა რვაათასიან კოლონაში მრავლად არიან ნაძალადევის — მუშათა უბნის — ლენინის რაიონის სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების მემკვიდრენი, მოდიან ელმავალმშენებლები და ფეიქრები, ჩარხმშენებლები და კვების მრეწველობის მუშაკები. მათ მაღლა უჭირავთ ტრანსპარანტები: „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს", „დავაჩქაროთ რიტმი, ტემპი, გავაუმჯობესოთ ხარისხი", „დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა ხუთწლედის რეზერვია".

ეს დევიზი განსაზღვრავს დღეს თბილისის ყველაზე ახალგაზრდა მუშათა რაიონის — გლდანის შრომით განწყობასაც.

ბევრი ღირსსახსოვარი მოვლენა მოხდა რაიონში გასულ წელს და ბევრ მათგანს თან სდევდა სიტყვა „პირველი". მაგალითად, კარკასპანელიანი სახლმშენებლობის ქარხანაში, სადაც ქვეყანაში პირველად აითვისეს ხუთსართულიანი სვეტების წარმოება, ამ ნაკეთობებს, ასევე დარგში პირველად, საპატიო ხუთკუთხედით უშვებენ. დემონსტრანტთა კოლონებში თავიანთ მაყურებლებთან ერთად მოაბიჯებს გლდანის დრამატული თეატრის კოლექტივი. რესპუბლიკის 27-ე პროფესიულმა თეატრმა თავისი დაბადების აღსანიშნავად დღესასწაულის წინ აჩვენა „ოპტიმისტური ტრაგედიის" პრემიერა. თეატრის შემდეგი დადგმაა სპექტაკლი ო. იოსელიანის პიესის მიხედვით, რომელიც ავტორმა სპეციალურად დაწერა ახალი კოლექტივისათვის, და მუშათა კლასს ეძღვნება.

მიმდინარე ხუთწლედში რაიონში გათვალისწინებულია აგრეთვე მეტრომშენებელთა „პრემიერა". გლდანშიაც მივლენ თბილისის მეტროს ცისფერი ექსპრესები.

რუსთაველის პროსპექტზე შემოვიდნენ ისინი, ვინც გლდანელებს ამ ნანატრ დღეს უახლოვებს.

— ჩვენ უკვე გავედით ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში, — ამბობს თბილისგვირაბმშენის გვირაბგამყვანი სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე დათაშვილი, რომელიც ოქტომბრის რაიონის დემონსტრანტთა კოლონებში მოაბიჯებს. — აქ პირველად გამოვიყენეთ მოსკოველი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი უნივერსალური ტექნიკა. იგი რამდენჯერმე აჩქარებს გვირაბგაყვანის ტემპს.

წარჩინებული მეტრომშენებლის სიტყვებს ეხმიანება კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ქარგლის სოციალისტური შრომის გმირის ვერა ქემაშვილის — პირველი მაისის რაიონის წარმომადგენლის ნაამბობი.

— ჩვენს კომბინატს რეკონსტრუქციის შემდეგ ვეღარ იცნობ. ჩვენ პირველად დავიწყეთ მუშაობა დიდმწარმოებლურ დაზგებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის ხარისხის მკვეთრ ამაღლებას, უახლოეს ხანს თბილისელები მიიღებენ ახალ ქსოვილს, რომელიც იმედია, ყველას მოეწონება.

გამოჩნდნენ კალინინის რაიონის წარმომადგენლები, რომლებსაც მოაქვთ ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის შრომითი მიღწევების ამსახველი დიაგრამები, ტრანსპარანტები. ყოველდღიურად თბილისელები 50-მდე ახალ ბინას იღებენ. ახალმოსახლეობა ქალაქის თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი ნიშან-თვისება გახდა. და ამ უძველესი რაიონის — კალინინის რაიონის მშენებლები ამაყად უპატაკებენ სამშობლოს:

„მეათე ხუთწლედში აშენდა მილიონ 280 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი". ჩვენ კი დავძენთ: ამ მაჩვენებელმა გადაამეტა ყველა წინანდელს, საბინაო მშენებლობის ასეთ ტემპს რაიონის მშრომელებმა პირველად მიაღწიეს.

თბილისელები, რომლებიც ახალ იერს უქმნიან ქალაქს, მას მარგალიტებით ამკობენ. ორი უბნის — კალინინისა და კიროვის რაიონების შესაყარზე დაიწყო ამასწინანდელი თბილისობის დღესასწაული. ძველთაძველმა ანჩისხატმა პირველად დაამშვენა სახალხო ზეიმი და ოქტომბრის კოლონებში სამართლიანად დაიკავეს ადგილი შესანიშნავმა ოსტატებმა, რომლებმაც მეექვსე საუკუნე მეოცე ასწლეულის სამზეოზე გამოიტანეს.

კიროვის რაიონის მშრომელები უფრთხილდებიან წარსულის ტრადიციებს და თავიანთი გარჯით აახლოებენ მომავალს. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ციფრს, მეთერთმეტე ხუთწლედში აქ სამრეწველო წარმოების მოცულობა მესამედით გაიზრდება.

„გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობას და ურყევ ერთიანობას!" — ალისფრად ღვივის სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდება ტრანსპარანტზე. ეს ტრანსპარანტი მოაქვთ თბილისის ყველაზე მრავალეროვანი რაიონის, 26 კომისრის რაიონის მშრომელებს. მაგრამ მრავალეროვნულობის მხრივ არც საქარხნო რაიონის მშრომელები ჩამორჩებიან, რომლებსაც, მაგალითად, შეუძლიათ მოიშველიონ თბილისის აეროპორტი, წელს აქ პირველად გახშირდა ბულგარული ლაპარაკი, გაიხსნა თბილის-ვარნის პირველი საერთაშორისო ხაზი. ჩვენი აეროპორტი ქვეყნის მეექვსე საერთაშორისო აეროპორტი გახდა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ცნობილი მფრინავები ბორის ჩიმაკაძე, დემური ლელაძე, ვლადიმერ კუცია დღეს დემონსტრაციაზე საქარხნო რაიონის კოლონებში გვერდით მოჰყვებიან დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სახელმოხვეჭილ მუშებს — თევდორე ბარიგინს, ვახტანგ კუბლაშვილს, კლიმენტ გოგოლაძეს. ტრანსპარანტები, რომლებიც მათ მოაქვთ, ასახავენ საბჭოთა ადამიანების მისწრაფებას მშვიდობის, საერთაშორისო უშიშროების, კეთილმეზობლობისადმი.

ჩვენი მომავალი საიმედო ხელშია. ორჯონიკიძის რაიონის ექვსი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა რიგებში მოაბიჯებენ ხვალინდელი ინჟინრები, მედიკოსები, პედაგოგები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები. უკვე დღეს ყოველ ათას თბილისელზე მოდის 228 დიპლომიანი სპეციალისტი, 324 საშუალო და 94 საშუალო სპეციალური განათლების მქონე.

მოდის მუშათა ცვლა — პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. სიჭაბუკის, სიჩაუქისა და ჯანმრთელობის სიმბოლური გამოხატულებაა სახელმოხვეჭილი სპორტსმენების, ფიზკულტურელების კოლონები.

„პარტიასთან ერთად — გავირჯებით და გავიმარჯვებთ!" — ასეთია ლენინის ანდერძის ერთგული სიჭაბუკის დევიზი, ასეთი დევიზი აქვს მის მოწინავე რაზმს, საქართველოს დედაქალაქის კომკავშირს.

ოქტომბერი მუდამ ჩვენთან არის, ჩვენს საქმეებსა და მისწრაფებებშია. საბჭოთა ხალხი მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომით ამრავლებს ოქტომბრის სამშობლოს ძლიერებას. ეს კიდევ ერთხელ ცხადყო თბილისში გამართულმა სადღესასწაულო დემონსტრაციამ. (საქინფორმი).

სურათებზე (ზემოდან): თბილისი, 7 ნოემბერი. ცენტრალური ტრიბუნა რუსთაველის პროსპექტზე; მესაზღვრეთა მწყობრი; მშრომელთა დემონსტრაცია.

ს. კილაძის, ჯ. ლომაძის, ვ. გენგიურისა და თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

64

# ზეიმობს საქართველო

გვატყობინებენ გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტები

## სოხუმი

**აფხაზეთის** ავტონომიური რესპუბლიკა ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეგება დიდ ოქტომბერს. აქ საერთო სახალხო საქმისათვის ერთმანეთის მხარდამხარ იღვწიან აფხაზი და ქართველი, რუსი და უკრაინელი, სომეხი და ესტონელი... ოქტომბრის შუქი აცისკროვნებს მათ ძმობასა და მეგობრობას.

საზეიმოდ მორთულმა აფხაზეთის დედაქალაქმა ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა, ირგვლივ მხიარული განწყობილება სუფევდა.

დილის 11 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, სხვა პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიისა და სამამულო ომის ვეტერანები. შრომითი კოლექტივების მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

დემონსტრაციას ხსნის მედროშეთა კოლონა, შემდეგ მოედანზე შემოდიან სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი.

ტრადიციისამებრ მშრომელთა კოლონებს მოუძღვიან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქარხანა „სოხუმხელსაწყოს", თამბაქოს საწარმოო გაერთიანების, თევზის კომბინატის, ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, გაზის აპარატის ექსპერიმენტული ქარხნის, „აფხაზღვინკომბინატის", ხორცკომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

ამაყად მოაბიჯებს ახალგაზრდობა, საშუალო სკოლის მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა. ლამაზადაა გაფორმებული აფხაზეთის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კოლონები. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ სოხუმის რაიონის სკოლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დასასვენებელი სახლების მუშაკთა კოლონები.

საოქტომბრო დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე აფხაზეთში სტუმრად ჩამოსულმა მრავალრიცხოვანმა დამსვენებლებმა და ტურისტებმა.

## ბათუმი

**სამგზის** ორდენოსან აჭარის ქალაქებსა და სოფლებში საოქტომბრო დღესასწაულია. მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი გადაჭარბებით სრულდება, გეგმის ზევით მიღებულია მილიონობით მანეთის პროდუქცია, ათასობით ტონა ჩაის ნედლეული. კარგი პირი უჩანს ციტრუსის მოსავალს.

დღესასწაულს პატარძალივით მორთული შეხვდა აჭარის დედაქალაქი, დილის 10 საათია, იწყება დემონსტრაცია. ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

პარადს ხსნიან პარტიის ვეტერანები, ის ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ გამარჯვებისათვის, ისინი რომლებიც აშენებდნენ ქალაქებს, სოფლებს.

ალისფერი დროშებით ივსება ლენინის მოედანი, მწყობრი ნაბიჯებით მოდიან საშუალო სკოლის მოსწავლეები, ტექნიკუმების, სასწავლებლების, პედაგოგიური ინსტიტუტის მრავალათასიანი კოლონები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშებმა მოიპოვეს უფლება წინ მიუძღოდნენ მუშათა კლასს. შემდეგ მოდიან მენავთობეები, გემთმშენებლები, ხის დამმუშავებელი და საყოფაცხოვრებო კომბინატის კოლექტივები, ბათუმის საზღვაო სადგურის დოკერები, რკინიგზელები, მკერავები, მეფეხსაცმელეები და სხვა საწარმოთა მშრომელები. პლაკატებზე, ტრანსპარანტებზე ასახულია მათი შრომითი მიღწევები. ტრიბუნას ჩაუარეს აგრეთვე მედიცინის მუშაკებმა, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებმა.

ბათუმელებმა ერთსულოვანი დარაზმულობით გამოხატეს თავიანთი ერთგულება პარტიისადმი, ოქტომბრის საქმისადმი.

## ცხინვალი

**ოქტომბრის** დღესასწაული წითელი დროშებით, შემოდგომის ლამაზი ფერებით მოვიდა სამხრეთ ოსეთში. ოლქის მშრომელები წარმატებებით შეხვდნენ ამ დღეს. მეთერთმეტე ხუთწლედის ათ თვეში პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმა შესრულებულია 102,6 პროცენტით.

წარმატებებია მოპოვებული სოფლად. სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სადღესასწაულოდ განაღდებულია საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმაც. დღესასწაულის წინ გაიხარეს ოლქის მშრომელებმა, ფრთები ესხმება მათ ოცნებას — კავკასიის საავტომობილო გზის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. 5 ნოემბერს შეერთდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის გვირაბები.

დილის 11 საათზე დაიწყო მშრომელთა საოქტომბრო დემონსტრაცია. ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი ფ. სანაკოევი და ოლქის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. დემონსტრაციას იწყებს ქალაქის ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების კოლონა.

დროშები და ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები მოაქვთ სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს. ტრიბუნებს სიამაყით ჩაუარეს ქალაქის მუშათა კლასის კოლონებმა. მათ რიგებში მრავალი სახელოვანი მშრომელია, რომელთაც გაუსწრეს დროს და 1982-1983 წლების ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

## ქუთაისი

**მხრებგაშლილი,** აყვავებული, საკუთარ ძალებში დარწმუნებული შეეგება დიდი ოქტომბრის დღესასწაულს ქუთაისი. ჯერ იყო და, ორიოდე დღის წინათ უჩვეულო ზეიმი გაიმართა დიდების მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით. სწორედ რომ, საოქტომბროდ ძვირფასი საჩუქარი მიიღეს არა მარტო ქალაქ ქუთაისის, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა.

თავდადებით შრომობენ ქუთათურები მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს. მრეწველობის მუშაკებმა უკვე 28 ოქტომბერს უპატაკეს სამშობლოს ათი თვის საწარმოო დავალებათა შესრულება. გეგმის გადამეტებით მიღებულია 10 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ პროდუქციის 33 პროცენტი საპატიო ხუთკუთხედით გამოდის.

... ქალაქის ქუჩებში დილიდანვე საზეიმო განწყობილება იგრძნობოდა. ვასილ კიკვიძის სახელობის მოედანზე გაიმართა მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია. ტრიბუნას პირველებმა ჩაუარეს ლენინის რაიონის დემონსტრანტებმა. შემდეგ კი მათ ავტოქარხნის რაიონის მშრომელთა კოლონები მიჰყვნენ, ახალ-ახალ წარმატებებს უპატაკებენ დედასამშობლოს ავტომშენებლები, ტრაქტორმშენებლები, ელექტრომექანიზატორები, მელითოფონეები, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მუშაკები.

**სურათებზე:** მშრომელთა საოქტომბრო დემონსტრაცია სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# სალაღობო ბარათი თერჯოლელ მერთვლეებს

ჯანსუღ ჩარკვიანი

ჩამიარა ნახევარმა არაგვმა,
ნახევარი გადაეგდოთ სხვა
მხარეს,
ხანახევრო არაფერი არ ვარგა,
არც ხარი, არც ბოჩიკი
სახარე.

თუ მტევანი მთელია,
მაშინ, გულიც მთელია,
მაშინ ჯანიც მთელია,
და სოფელიც მთელია.

ძმაო ანზორ ბურჯანაძე,
საქართველოს რთველია,
თერჯოლაში ქუდზე კაცი
რთველში ჩაგითრევია.

შემოდგომა ფეთქდება
არყის ქვაბის ორთქლში,
თქვენი „ციცქა" ფეთქდება
შამპანურის ბოთლში.

ვაზი ყელის მოღერებით

ეჭიბრება „კიანტსა" და
„ბორდოს",
რას შვრებიან მომღერლები —
მანდ არიან, თუ წაბრძანდნენ
ლონდონს?

მომენატრა ჩამორბენა,
კაკაბაძის სერებზე,
როგორა მყავს „საპოვნელა",
ხომ ისევ დგას ცერებზე.

ხომ ისევე არის ხმაზე,
ხომ ისევე დასძახებს,
ხომ ისევე მორცხვად
გამზერს
ქორწინების სასახლეს?

კაი ფრთა ხარ ორბთა
ფუძის,
არ გიმატებ სადღეგრძელს,
შვილიშვილთან პაპას ყურძნის
რომ არ უშლი წაღებას.

რაც ვენახმა კაი მოგცა,
სულ კაი კაცს აგემოს,
ლეჩხუმურად დაგილოცავ
მოამინე ანგელოზს.

თუ მტევანი მთელია,
მაშინ გულიც მთელია,
მაშინ ჯანიც მთელია,
და სოფელიც მთელია.

ძმაო, ანზორ ბურჯანაძე,
საქართველოს რთველია,
თერჯოლაში ქუდზე კაცი
რთველში ჩაგითრევია.

ჩვენში რთვლობას ვერ
მოშლი,
რთვლის სიმღერას მღერიან,
სიტყვა საქართველოშიც
რთველი გაურევიათ.

# სწავლობენ ქართულ ენას...

**ახლახან** ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში ერთდროულად გამოიცა ამერიკელი ქართველოლოგის ალის ჰარისის წიგნი „ქართული სინტაქსი" და იაპონელი ქართველოლოგის პროფესორ შიმიმუას წიგნი „ქართული ენა. შედარება ინდოევროპულ ენებთან". საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს შ. ძიძიგურს განემარტა ეს ფაქტი.

— ორი ცნობილი მეცნიერის გამოქვეყნებულ, ფუნდამენტურ შრომებს დიდი წვლილი შეაქვს ქართველოლოგიაში, რომელიც უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა ბევრ ქვეყანაში. გაზრდილი ინტერესი ქართული ენისადმი გამოწვეულია საქართველოს მდიდარი ისტორიითა და ლიტერატურით, მისი კულტურის, მეცნიერების, სპორტის წარმატებებით თანამედროვე ეტაპზე. ქართველოლოგთა ძლიერი სკოლები შეიქმნა უნგრეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, ინგლისში, შვეიცარიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნორვეგიაში, დანიასა და ესპანეთში. ქართული ენის ლექციების კურსი იკითხება ციურიხის, ბონის, ლონდონის, ვარშავისა და მსოფლიოს სხვა უდიდეს უნივერსიტეტებში. უკვდავი შოთა რუსთაველის ენის თაყვანისმცემლები ძალ-ღონეს არ იშურებენ თავიანთ ქვეყნებში მისი პოპულარიზაციისათვის. შვეიცარიაში ნაყოფიერად მუშაობენ ცნობილი ქართველოლოგები მარშევი, ფლური, ნოიკომი, ნორვეგიაში — ფოგტი და მისი მოწაფეები, ინგლისში — ლენგი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ცეჩი, ფეენრიხი, საფრანგეთში — მელიკოფი, უტიე, უნგრეთში — ტარდი, იმტვანოვიჩი, დანიაში — გარიტი, ესბროკი და სხვები.

საზღვარგარეთელ ქართველოლოგებს შემოქმედებითი კონტაქტები აქვთ ქართველ მეცნიერებთან. ისინი ჩამოდიან საქართველოში, კითხულობენ ლექციებს, თავის მხრივ ჩვენი მეცნიერები რეგულარულად აცნობებენ თავიანთ უცხოელ კოლეგებს ქართული ენის შესწავლის დარგში უკანასკნელი მიღწევების შესახებ. (საქინფორმი).

● ●

## ზუგდიდელთა გასტროლები

**მახარაძე. (საკ. კორ).** აქ საგასტროლოდ იყო ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი.

თეატრმა მახარაძელ მაყურებელს უჩვენა ი. ვაკელის „აპრაკუნე", გ. ნახუცრიშვილის „შაითანხიხო", ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა" და სხვა.

მაყურებელთა მოწონება ხვდათ მსახიობებს დ. გოგიჩაშვილს, მ. ტოგონიძეს, ნ. კოხტაშვილს, ა. როგავას და სხვებს.

# მოვლენის წინ

### საუბარი „მრგვალ მაგიდასთან"

### თანამედროვე რომანის პრობლემებზე

**10 და 11 ნოემბერს** თბილისში გაიმართება საბჭოთა მწერლების შეხვედრა. აქ მოეწყობა „ლიტერატურნაია გაზეტას" და საქართველოს მწერალთა კავშირის „მრგვალი მაგიდა". შეხვედრის თემაა „საბჭოთა მრავალეროვნული რომანი და ლიტერატურების ურთიერთმოქმედება".

„მრგვალი მაგიდის" მუშაობაში მონაწილეობისათვის საქართველოს დედაქალაქში თავს მოიყრიან ცნობილი მწერლები და კრიტიკოსები ქვეყნის ყველა კუთხიდან. მათ შორის არიან გ. ბაკლანოვი (მოსკოვი), ვ. ბიკოვი (მინსკი), ვ. ბეშლიაგე (კიშინიოვი), ე. ვეტემაა (ტალინი) და სხვები.

უკანასკნელ ათწლეულში საბჭოთა რომანისტიკა გამდიდრდა მთელი რიგი თვალსაჩინო ნაწარმოებებით მათ შორის არის ფ. აბრამოვის „სახლი", ვ. ასტაფიევის „მეფეთევზა", ი. ბონდარევის „ნაპირი", დ. გრანინის „სურათი", გ. მარკოვის „ციმბირი", ჩ. აიტმაოვის „საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა დღემ", ო. გონჩარის „შენი ცისკარი" და სხვები.

ამ წლების მანძილზე ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა მნიშვნელოვანი რომანები. ესენია ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი", თ. ჭილაძის „აუზი" ა. სულაკაურის „ლუკა", ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია", რ. ჯაფარიძის „მძიმე ჯვარი", ო. ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან", გ. ფანჯიკიძის „აქტიური მზის წელიწადი" და სხვები.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენელთა ამ ნაწარმოებებმა, როგორც სამართლიანად აღიარებს კრიტიკა, გვაგრძნობინა საბჭოთა რომანის სოციალურ-ფილოსოფიური პრობლემატიკის გაღრმავება. რაც თვალსაჩინოდ მოწმობს, რაოდენ სიცოცხლისუნარიანია, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება, რომელიც მოიცავს ყოველივე საუკეთესოს, რაც შექმნილია წინა ეპოქების მხატვრული სკოლების გამოცდილებით. ამასთან, სწორედ რომანის განვითარებას, დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, თან ახლავს ინტენსიური ძიება. კრიტიკა აღნიშნავს, რომ დღევანდელი რომანის დიდმნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა მისი პრობლემატიკის გართულება, უწინარეს ყოვლისა, ზნეობრივი ძიების სფეროში. პიროვნება და საზოგადოება, ადამიანი და დრო — ალბათ არ არის რომანი, რომელშიც მეტნაკლები სიმწვავით არ წამოჭრილიყოს ეს კოლიზიები.

რა სიახლე მოუტანა საბჭოთა ლიტერატურას 80-იანი წლების რომანმა პრობლემატიკის სფეროში, რით აიხსნება თანამედროვე რომანის ჟანრული მრავალფეროვნება. ინარჩუნებს თუ არა იგი მწერლის სამშობლოს ეროვნული კულტურის თავისებურებებს, რამდენად მართებულია პროზის დაყოფა თემებად, არის თუ არა ზუსტი ზღვარი მოთხრობასა და რომანს შორის — ეს და სხვა აქტუალური საკითხები იქნება „მრგვალი მაგიდის" მონაწილეთა ყურადღების ცენტრში.

„მრგვალ მაგიდასთან" დისკუსიას გახსნის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. დუმბაძე. სხვა საბჭოთა მწერლებთან ერთად მონაწილეობას დისკუსიაში მიიღებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ციციშვილი, კრიტიკოსები გ. ასათიანი და გ. გვერდწითელი. (საქინფორმი).

# წარმატებებს გისურვებთ მუსიკოსებო

### ვიოლონჩელისტთა

### საკავშირო კონკურსი

### თბილისში

**ორმოცდასამი** ახალგაზრდა მუსიკოსი — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ლვოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების კონსერვატორიათა სტუდენტები, აგრეთვე ალმა-ათისა და ხარკოვის სიმფონიური ორკესტრების წევრები დაიცავენ საბჭოთა საშემსრულებლო სკოლის ღირსებას თბილისში. 12-23 ნოემბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება ვიოლონჩელისტთა VI საკავშირო კონკურსი. ამ შემოქმედებითს დათვალიერებაში ქართველი ვიოლონჩელისტები — თბილისის კონსერვატორიის სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

პირველი და მეორე ტურები 13 ნოემბრიდან 18 ნოემბრამდე გაიმართება. კონკურსის მონაწილენი შეასრულებენ სავალდებულო პროგრამას ფორტეპიანოს თანხლებით. მესამე, დასკვნით ტურში ვიოლონჩელისტები დაუკრავენ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დირიჟორების ვ. ქორდანიასა და ზ. ხუროძის ხელმძღვანელობით.

კონკურსის საზეიმო დახურვაზე გამოაცხადებენ გამარჯვებულებს, გაიმართება კონცერტი ლაურეატების მონაწილეობით.

(საქინფორმი).

# მთავარი პრიზი — „გია მასწავლებელს"

**გ. ძნელაძის** სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სახალხო სტუდია „პიონერფილმის" მიერ გადაღებულმა ფილმმა „გია მასწავლებელმა" (სტუდიის ხელმძღვანელები გ. ჩიგოგიძე და ს. მარჯანიშვილი), მოიპოვა მთავარი პრიზი მოყვარულთა საბავშვო კინოსტუდიების სრულიად საკავშირო ფესტივალზე „თბილისური აისი-81". ჟიურიმ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, კინორეჟისორ სოსო ჩხაიძის თავმჯდომარეობით ნახა 77 ფილმი — ჩვენი ქვეყნის 30 ქალაქის საბავშვო სტუდიების ნამუშევრები.

● ●

# პრემიერით დაიწყო

**ახალციხე.** მესხეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგი ახალი სეზონი გახსნა პრემიერით — ა. დანილოვის ორმოქმედებიანი პიესით „მილიციის კომისარი". სპექტაკლი დადგა თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნანა დემეტრაშვილმა, მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა ა. გოგოლაძემ, მუსიკალურად — კომპოზიტორმა გ. სიხარულიძემ.

სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. ხვიჩია, მსახიობები ი. ოქრომელიძე, დ. ბერიძე, თ. ჩერქეზიშვილი, ს. მელაძე, ზ. მინდიკაური, რ. ხატიძე, თ. ნემსაძე, ო. ყურაშვილი, ლ. ვახტანგიშვილი, ბ. მაზაშვილი, რ. ბარბაქაძე, დ. მაჩიტაძე, ზ. ბარათაშვილი.

სპექტაკლის შემდეგ თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ნ. დემეტრაშვილმა ჩვენთან საუბარში თქვა:

— გასული სეზონის მიწურულს ერთთვიან გასტროლებზე ვიყავით კახეთში და თეატრის დასი ერთხელ კიდევ წარმატებით გამოვიდა თელავის, ახმეტის და გურჯაანის რაიონების მშრომელთა წინაშე. სეზონის მიწურულს ჩვენს თეატრში მოვიდა თეატრალური ინსტიტუტის ახალკურსდამთავრებული ზაალ ბარათაშვილი და დაგვიბრუნდა ს. ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ჩვენგანვე წასული დ. მაჩიტაძე, რომელთა დებიუტიც სწორედ ახალ სპექტაკლში შედგა. ერთმაც და მეორემაც როლებს კარგად გაართვეს თავი, დასახსომებელი სახეები შექმნეს.

რაც შეეხება რეპერტუარს, ძველი სპექტაკლებიდან რეპერტუარში კვლავ რჩება კ. კობერიძის „მოდი ვნახოთ ვენახი", „გ. ბერიაშვილის „ელო, ილო და ქერივები", ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა", შ. სუდაძის „ცრემლიანი გზა" და სხვა, ამ სპექტაკლებს გასულ სეზონში მაყურებელთა მოწონება ხვდა. ახალ სეზონში დავდგამთ ვ. შუქშინის „ენერგიულ ადამიანებს", კიპლინგის ზღაპარს „კატა, რომელიც თავისთვის დასეირნობს", ლ. მილორავას „კერპჯიუტას"და სხვა სპექტაკლებს.

**შ. მაისურაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

„კომუნისტის"
ინტერვიუ

# აღმოჩენის აღიარება

**როგორც ამ რამდენიმე დღის წინ გაზეთი „კომუნისტი" მკითხველს აუწყებდა, ამა წლის 29 ოქტომბერს სსრ კავშირის აღმოჩენათა სახელმწიფო რეესტრში 250-ე „საიუბილეო" ნომრით შეტანილ იქნა ქართველი მეცნიერის გიორგი მჭედლიშვილის აღმოჩენა. ეს მეორე მეცნიერული აღმოჩენაა საქართველოდან.**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ქართული სკოლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი გახლავთ. მის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა და თეორიულმა გამოკვლევებმა დიდი ხანია საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.**

**გუშინ პროფესორი მჭედლიშვილი თბილისში დაბრუნდა და თავისი აღმოჩენის შესახებ ესაუბრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს.**

**— როგორც ცნობილია, ბატონო გიორგი, თქვენი ფუნდამენტური ნაშრომი ტვინში სისხლის მიმოქცევის რეგულირების მექანიზმებს ეძღვნება. როდის აქეთ მუშაობთ ამ სფეროში?**

— სისხლის მიმოქცევის, კერძოდ, სისხლის მიკროცირკულაციის დარგში კვლევითი მუშაობა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დავიწყე ჩვენი ქვეყნის პათოლოგიური ფიზიოლოგიის აღიარებული მკვლევარის ვლადიმერ ვორონინის ხელმძღვანელობით. 1944 წლიდან სამამულო მეცნიერების ეს კორიფე სათავეში ედგა ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის იმ ლაბორატორიას, რომელსაც ახლა მე ვხელმძღვანელობ და რომელსაც ამჟამად თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორია ეწოდება. თავდაპირველად თავის ტვინში მიკროცირკულაციის შესწავლას შევუდექით და აქ ექსპერიმენტების ჩატარებისას ერთი მოულოდნელი მოვლენა აღმოვაჩინეთ.

**— მოულოდნელი რა თვალსაზრისით?**

— ახლავე მოგახსენებთ. მაგრამ ჯერ აი, რას გეტყვით: როცა მეცნიერი ექსპერიმენტს ატარებს, მას მუდამ ახსოვს ერთი რამ — მთავარი რასაც უნდა დაეყრდნოს მისი მეცნიერული დასკვნები, არის არა ის, რაც მიღებული და დადგენილია, არამედ ის, რასაც ექსპერიმენტში ვხედავთ — ექსპერიმენტული ფაქტები. აი ამისკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ყურადღება. მოულოდნელი კი აი რა გახლდათ:

ადრე ფიზიოლოგიაში დამკვიდრებული იყო აზრი, თითქოს ტვინში, ისევე, როგორც სხვა ორგანოებში, სისხლის მიმოქცევის რეგულატორს წარმოადგენდნენ უწვრილესი არტერიები. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა სისხლის მიკროცირკულაცია ტვინში სისხლის შეგუბების დროს. ამისათვის ვიწვევდით, კერძოდ, ტვინიდან გამომავალი ვენების დახშობას. და აი, აქ, ჩვენდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ ტვინში სისხლის შეგუბება კი არა, სისხლით მიწოდების ნაკლებობა განვითარდა. ანალიზმა ნათელყო, რომ ეს მოვლენა უმსხვილესი არტერიების შევიწროებამ გამოიწვია. ჩვენ დავასკვენით, და როგორც შემდგომში დადასტურდა, სავსებით მართებულად, რომ აღმოჩნდა რეგულაციის ახალი, აქამდე უცნობი მექანიზმი, ის, რომელიც ტვინს იცავს სისხლის ჭარბი მოწოლისაგან. ამის შემდეგ სხვა ფაქტებიც აღმოვაჩინეთ, რომელთაც დაგვიდასტურეს, რომ თავის ტვინში სისხლის ნაკადის მუდმივობა ამავე მსხვილი არტერიებით რეგულირდება. ზოგჯერ, როცა ზოგადი არტერიული წნევა გვეცვლება (ეს კი ჯანმრთელ ადამიანსაც ემართება, განსაკუთრებით მძაფრი ემოციების დროს), ჩვენ ამას ვერც კი შევიგრძნობთ, რადგან ამ მექანიზმის მეოხებით თავის ტვინში სისხლის ნაკადი მაინც მუდმივია. ჩვენი შემდეგი ნაბიჯი თავის ტვინში სისხლის ნაკადისა და ნივთიერებათა ცვლის შესაბამისობის მექანიზმის შესწავლა იყო. აღმოჩნდა, რომ მათი მარეგულირებელი ყოფილა უფრო წვრილი არტერიები, რომლებიც ტვინის ზედაპირზე არის განლაგებული. მათ პიალურ არტერიებს უწოდებენ. ეს ძალიან რთული სარეგულაციო სისტემაა.

**— მაგრამ ამ მიმართულებით თქვენი მუშაობა არ დამთავრებულა არა?**

— რას ბრძანებთ! პირიქით, მუშაობა ახლა დაიწყო. ჩვენ სხვადასხვა მიმართულებით დავიწყეთ კვლევა. თანდათან იზრდებოდა ჩვენი ლაბორატორია, გვიერთდებოდნენ ახალი თანამშრომლები. უკვე მხარში მედგნენ ლეილა ორმოცაძე, ლია ნიკოლაიშვილი, დოდო ბარამიძე, ნოდარ მითაგვარია და სხვები.

ფუნდამენტური კვლევის პროცესში იშვა ცნება — თავის ტვინის სისხლძარღოვანი მექანიზმები. ეს ის მექანიზმებია, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის რეგულაციას რომ ახდენენ. ამ წლების კვლევის შედეგები გამოქვეყნდა ნაშრომში „თავის ტვინის სისხლძარღოვანი მექანიზმების ფუნქციები", რომელიც ლენინგრადის გამომცემლობა „ნაუკამ" გამოსცა 1968 წელს, 1972 წელს კი მონოგრაფიის სახით გამოვიდა ნიუ-იორკში.

**— რაზეც აქამდე ვისაუბრეთ, თეორიის სფეროს განეკუთვნებოდა. ახლა გთხოვთ, თქვენი კვლევის შედეგების პრაქტიკულ მედიცინაში დანერგვაზე გვიამბოთ.**

— როგორც მოგეხსენებათ, ფუნდამენტური კანონზომიერება თუ ფენომენი პრაქტიკაში უშუალოდ არ ინერგება. მას ჯერ წინ უძღვის კვლევა გამოყენების სფეროებში. მხოლოდ ამის შემდეგ ინერგება იგი პრაქტიკაში.

ბევრი რამ გაკეთდა, მაგალითად, თავის ტვინის არტერიების სპაზმის შესწავლაში. ჩვენმა აღმოჩენამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, თუ სად ვითარდება ეს სპაზმი უფრო ხშირად და რა არის მისი განვითარების ძირითადი მექანიზმი. ამ კვლევის საფუძველზე უკვე რამდენიმე წელია უნგრეთის ცნობილ ფირმასთან „გედეონ რიხტერთან" ერთად, ვიმუშავებთ მეთოდებს ქიმიკოსთა მიერ შექმნილი ახალ-ახალი სპაზმის საწინააღმდეგო პრეპარატების ეფექტიანობის შესამოწმებლად.

ჩვენ პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ცენტრთან ერთად ვეწევით კვლევას, ვსწავლობთ თავის ტვინის იშემიის (ანუ სისხლის მიმოქცევის ნაკლებობის) პრობლემებს, თუ როგორ ირღვევა სისხლის მიმოქცევა და რა საშუალება, რა მექანიზმები გააჩნია ორგანიზმს ამის საკომპენსაციოდ.

**— თქვენი აღმოჩენის წყალობით მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული თავის ტვინში შეშუპების განვითარების მექანიზმის შესწავლაში.**

— დიახ, ამ სფეროში უკვე მივაღწიეთ გარკვეულ წარმატებებს. ამ პროცესს იწვევს ტრავმა, სისხლის მიმოქცევის დარღვევა, სიმსივნეები და სხვა. მისი განკურნება ძალიან ძნელია, ამიტომ კვლევა ამ მიმართულებით მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს და მეხუთე საერთაშორისო ეგრეთწოდებული „თბილისური" სიმპოზიუმი 1983 წლის აპრილში რომ ჩატარდება, სწორედ ამ საკითხს მიეძღვნება.

●

**ინტერვიუს კომენტარს უკეთებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი მიხეილ ხანანაშვილი:**

**უპირველესად** მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო იმ ფაქტს, რომ აღმოჩენის რეგისტრირება მედიცინისა და ბიოლოგიის დარგში საკმაოდ იშვიათად ხდება ხოლმე და ამას მხოლოდ ისეთი კვლევის შედეგები იმსახურებენ, რომლებსაც ძალიან დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. პროფესორ გიორგი მჭედლიშვილის აღმოჩენა ფუნდამენტური კვლევის სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად მას ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ მაგალითზე ჩანს თვალნათლივ მრავალწლიანი, მიზანმიმართული ფუნდამენტური კვლევის როლი პრაქტიკული მედიცინის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრის საქმეში.

ახალმა აღმოჩენამ ახალი ცოდნა მისცა მეცნიერებას, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციის მექანიზმის შესახებ.

ეს გახლავთ აღმოჩენის თეორიული მნიშვნელობა. პრაქტიკულად კი, ამ აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციის ახალი გზების გამოკვლევა და გამოყენება. მაგალითად, ცნობილი გახდა სისხლის მიმოქცევის რეგულაციის რომელ მექანიზმებზე უნდა ვიმოქმედოთ ფარმაკოლოგიური საშუალებებით, რომ დროული პროფილაქტიკური ღონისძიება ჩავატაროთ თავის ტვინის ზოგიერთი მძიმე დაავადების განვითარების თავიდან ასაცილებლად ან უკვე განვითარებული დაავადების სამკურნალოდ.

გიორგი მჭედლიშვილი მთელ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერია, მას ძალიან ფართო და მეტად პროდუქტული ურთიერთობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს სახელმოხვეჭილ მეცნიერებთან. ლაბორატორიაში, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ახალი პროგრესული მეთოდების ასათვისებლად და ერთობლივი კვლევის ჩასატარებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან.

●

**სურათებზე:** პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი და მისი ავტორობითა და რედაქციით გამოქვეყნებული მონოგრაფიები, ამ მეცნიერული აღმოჩენის პრობლემებზე.

[illegible]

## რამაზ შენგელ
## — საუკეთეს

ფეხბურთის მიმომხილველ
ბის გამოკითხვამ, რომელსაც
ზეთი „ტრუდი" ტრადიციულ
თვეში ერთხელ ატარებს, ოქტ
მბრის საუკეთესო მოთამაშ
დაასახელა თბილისის დინამოე
რამაზ შენგელია.

## დაწყვილდნენ

**ბერნში** (შვეიცარია) გაიმარ
უეფას ტურნირში მონაწილე
რვედფინალისტთა წილისყრა.
ხბურთელთა გუნდები ასე და
წყვილდნენ: „ლოკერენი" (ბე
გია) — „კაიზერსლაუტერნ
(გფრ), „რეალი" (მადრიდი,
პანეთი) — „რაპიდი" (ავსტრ
„აბერდინი" (შოტლანდია)
„ჰამბურგი" (გფრ), „გეტებ
გი" (შვეცია) — „დინამო" (რ
მინეთი), „სპორტინგი" (პორტ
გალია) — „ქსამაქსი" (შვეი
რია), „ვინტერსლაგი" (ბელგ
— „დანდი იუნაიტედი" (შო
ლანდია), „რადნიჩკი" (იუგოს
ვია) — „ფეიენოორდი" (ჰოლ
დია), „ვალენსია" (ესპანეთი)
„ჰაიდუკი" (იუგოსლავია).
გუნდების მერვედფინალური
ტჩები გაიმართება 25 ნოემბ
და 9 დეკემბერს.

● ●

## მოკლედ

**შაში.** ჰოლანდიის ქალაქ
უვარდენში მიმდინარეობს მა
მსოფლიო პირველობაზე სა
თაშორისო შაშში ა. განტვარ
(სსრ კავშირი) და ხ. ვირს
(ჰოლანდია) შორის. გაიმართა ო
პარტია და ორივე ყაიმით დ
თავრდა. ჯერჯერობით ანგარიშ
1:1.

**ჭადრაკი.** სოფიაში გაიმარ
„ბურევესტნიკისა" (სსრ კავში
და „სლავიას" (ბულგარეთი)
რები გუნდების ნახევარფინალ
რი შეხვედრა ევროპის ჩემპიო
თა თასზე. გაიმარჯვეს საბჭო
მოჭადრაკეებმა (7,5:4,5) და
ფინალისკენ გაიკაფეს გზა.

**სპორტული ტანვარჯიში.**
სკოვში დამთავრდა ახალგაზ
ტანვარჯიშეთა საკავშირო
მპიონატი. აბსოლუტური პირვ
ლობა მოიგეს 14 წლის ალმაა
ლმა მოსწავლემ ლიდია ხარი
ვამ (73,15 ქულა) და მინსკე
18 წლის სტუდენტმა ვიაჩესლ
სამოთალოვმა (111,25). გოგონ
თა შორის ცალკეულ ვარჯიშ
ში უძლიერესნი იყვნენ ხარი
ვა (ხტომა — 19,025 ქულა),
მინიოველი რეგინა სტეპანოვ
(ორძელი — 19,3), ლენინსკე
ნეცელი ალბინა ჭაფი
(ძელი — 18,525), და ოდე
ლი ოლღა დანილოვა (თავის
ფალი ვარჯიში — 18,575).
ჟებში გამარჯვებულები არიან
მოფალოვი (რგოლები — 18,9
და ორძელი — 18,55), ალმაა
ლი ლეონიდ ბატიშჩევი (თავის
ფალი ვარჯიში — 18,375),
ნინგრადელი სერგეი იჩეტოვ
(ტაიჭი — 18,525), ერევნე
გრაჩიკ სტეპანიანი (ხტომა —
18,4) და ჩელიაბინსკელი
გაბიტოვი (ძელი — 19,25
ლა).

რედაქტორი
ზ. ბედინეიშვილ

## ტელევიზია

### 8 ნოემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — ახალი ამბები (მ.), 09.20 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 10.15 — „თქვენთვის, პატარებო!" — „ცეროდენას ეკრანი", 10.35 — ხალხური შემოქმედება — „ჩვენ უთვალავი ფერიაია", 11.15 — „კინოაფიშა", 11.45 — „ჩვენი კონკურსი", 11.55 — მოსწავლეებისათვის — „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა", 12.55 — „ჩვენი კონკურსი", 13.05 — „ილუზიონი", 15.35 — „ჩვენი კონკურსი", 15.45 — ცირკის მოყვარულთათვის, 16.20 — ახალი ლაურეატები — „1981 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში" (მ.), 17.55 — გ. ნახუცრიშვილი — „შინშინა", თოჯინური სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა, 18.45 — „ჩვენი კონკურსი", 19.00 — სსრკ პირველობა ფეხბურთში თბილისის „დინამო" — სიმფეროპოლის „ტავრია". რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს — კინორეპორტაჟი, 20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 21.05 — „გიწვევთ საკონცერტო დარბაზში", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „გულშემატკივართა კლუბი — შეხვედრა მათ ჩემპიონებთან, 23.20 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.), 23.00 — მულტიპლიკაციური ფილმები.

## თეატრი

### 8 ნოემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — საზეიმო კონცერტი (38-ე აბონ. მეორე წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მშვენიერი ქართველი ქალი; (დღისით და საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შთამომავლობა (დღისით და საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ელდორა (დღისით), ძუნწი (საღამოს); მეფების თეატრი — ქართულ ნოველების საღამო; მინიატურების სახელმწიფო — ნურც გამრინდები, ნურც მოგრინდები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**ლეონარდ ლეონარდის ძე**
**დეკაპრელევიჩი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434   უე — 14744   საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 20.   1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20